საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 25 აგვისტო, 2007 წელი.

№ 165 (5766)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიჩებით ბუჩთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

მომთაბარე ერი და მოგზაური შადრევნები

2

ჩარხი წუთისოფლისა

ეს ერთი და ორი კაცის აზრი არ არის, ასე ფიქრობს დღეს ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა, რომელიც მაზა-მაზა დაპირებებით მოალორეს და პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს.

2–4

ბენდუქიძემ, ჩინელებთან ერთად, ვერც ეშმაკები დაითვალა

7

დროის მსხვერპლი

შვილს გადაყოლილი...

სანდრო გირგვლიანის დედა — ირინა ენუქიძე გარდაიცვალა

აი, ვინ გადაჰყვა შვილს – ერთადერთ სულისდგმას... ო, როგორ დაჰკანკალებდა იგი, თავის მოსიყვარულე მეუღლესთან გურამ გირგვლიანთან ერთად პატარა სანდრინოს (ასე ვეძახდით სანდროს პაპამისის – ჯიმშერ ენუქიძის კოლეგებიძ, როგორ ხაროგდა მისი კარგი ყმაწვილკაცობით, მისი სწავლა-განათლებით...

სანდროვაც გაუმართლა, „გაერთიანებულ ქართულ განკში“ მუშაობდა, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული ახალგაზრდა კაცს, უკეთეს მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, რომ არა შარშანდელი 27 იანვრის საბედისწერო საღამო „შარდენ-ბარში“. ამ შემთხვევისა და მისი ტრაგიკული დასასრულის – სანდრო გირგვლიანის შემზარავი მკვლელობის შესახებ – უკვე არა მარტო საქართველოში იციან. უბედური ირინა – ერთადერთი ვაჟკაცის დედა ძუ ვეფხვივით აიძაგრა, თითქმის მთელი საქართველო აიყოლია, უსამართლო ქვეყანაში სამართლისთვის იბრძოლა, იომა, მისი ემოცია და შემართება ათას გაუბედურებულ დედას ეყოფოდა...

აღარ განვაგრძობ, ძვეყანამ იცის სანდრო გირგვლიანის არაადამიანური მკვლელობის და უსამართლო სამართლის ისტორია!...

დაილალა დედა, ამდენი დაგროვილი სევდა-ნაღველი, ემოცია უკურნებელ ავადმყოფობად გადაექცა და უკვე სამი თვეა რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციაში უგონოდ იწვა შვილმკვდარი... ანდა, რა ფასი ჰქონდა მის სიცოცხლეს...

და იგი უკვე თავის სანდროსთანაა... შვილს გადაყოლილი...

რამდენი მზაკვრისა და არამზადის გული გაახარე, ჩვენო ძვირფასო ირინა... მაგრამ შეუძლებელია სამართალმა ჰური არ ჭამოს, ყველას თავისი არ მიეზღოს... ორი ოჯახის განადგურება არავის შერჩება და, იმედია, რომ შენი უბედური შვილის საძმე შენთან ერთად , არ მოკვდება!

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო დაიკო!

ვილენ მარდალეიშვილი

● **კინწისკვრით ყრიან გარეთ რედაქციებს, ტელესტუდიებს, შემოქმედებით კავშირებს, სხვადასხვა პროფილის სავაჭროებს, დაბრიყვებულ ინტელიგენციას, აფხაზეთიდან დევნილებს...**

◎ **ახლა ვისი ჯერია?**

მომთაბარე ერი და მოგზაური შადრევნები

მოკლედ, ქვეყანამ ფეხი აიდგა და პირდაპირ ბროუნის მოძრაობის მარშრუტით, ქაოსურად იცვლის ადგილს მარჯვნივ-მარცხნივ, დასავლეთით-ჩრდილოეთით...

ერთი ქართული ფილმი მახსოვს: ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დადის სიმართლის თუ თავისუფლების საძებნელად, ოღონდ ერთი წყება რომ ალმა მიუყვება დროშის ფრიალით, მეორე დალმა მიეშურება, ერთი რომ მთას შესდგომია, მეორე ბარად ეშვება...

იმას ჰგავს ჩვენი დღევანდელი ყოფა.

გუშინდელი ბლუჩუნა დიასახლისები, თავისი სოფლიდან თბილისის გაზრებისკენ რომ უჭირდათ გზის გამოგნება, დღეს ბალკანეთისა და პირენეის ქალაქებში ისე დარონინებენ, როგორც მშობლიურ ლაფანყურსა და საჭამასერში.

საქართველოს მილიონნახევარ მოქალაქეს თავი დაულერია და მსოფლიოს შესევია: სულის მოსათქმელს ეძებს, კუჭის საფანელს მოიპოვებს.

ამას წინათ კარგა ხნის უნახავი ნაცნობი შემხვდა. ოქროსფერპალმიანი მაისურითა და ფართხუნა შორტით მოჰქონდა ქუჩა.

სადა ხარ, რასა იქმ-მეთქი. სოლომონის კუნძულებზე ვცხოვრობ რანჩოშიო.

ეგ სოლომონის კუნძულები საიდან გამოჩხრიკე, ალბათ, მამაშენს რომ სოლომონი ერქვა, იმის ეშხით-მეთქი, გულწრფელად გავიოცე.

არა, კაცო, რის მამაჩემი, უბრალოდ, გამიმართლა, იქაური ქალი მოვიყვანე ინტერნეტის საშუალებითო.

ბედი არ გინდა! მაგრამ დანარჩენი 1499999-ს რომ არ უმართლებს!

მაგრამ განა მხოლოდ ადამიანები, ბინას იცვლიან კომანდორის უფლებით ერთ ადგილზე ათადან-ბაბადან მოგინადრეორგანიზაციები, საწარმოები... კინწისკვრით ყრიან გარეთ რედაქციებს, ტელესტუდიებს, შემოქმედებით კავშირებს, სხვადასხვა პროფილის სავაჭროებს, დაბრიყვებულ ინტელიგენციას, აფხაზეთიდან დევნილებს...

სწორედ გუშინ შევიტყვეთ, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატ „პირიმზეს“, ჯერ რომ ყოფილ კოლმეურნეობის მოედანზე არსებული ცენტრიდან გამოასახლეს, სხვა უბანში ახალაშენებული ბინაც დაუნგრიეს, პროექტის დარღვევით არის აშენებულიო.

ქვეყანა ბოლჩებმოგდებული, მუდმივად გზას გაკრულ ბოშათა ბანაკს ჰგავს.

ადგილმონაცვლეობას ბოლო არ უჩანს. საკუთარ ბინებში შეკეტილი მოსახლეობა ყოველ დაკაკუნებაზე შიშით კანკალებს, ემანდ, აღმასრულებელი ხომ არ მოვიდა ჩვენს გამოსაყრელადო!

გვახსოვს, პირველად მეფეწმინდანი, დიდი დავით მეოთხე აღმაშენებელი გადააბრძანეს თბილისის ცენტრიდან დილმის შემოსასვლელთან და მაღლა აწეული თითით აქამდე თუ იმას გვარიგებდა, სამშობლოს გაუფრთხილდით, ერთმანეთს ნუ დაჭამთ, ეს ქვეყანა თქვენს შემდეგაც საქართველო უნდა იყოსო, ახლა ქალაქში შემომავალი მანქანების მძღოლებს აფრთხილებს, ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე ვიდეოთვალია დაყენებული და, ღმერთი არ გაგიწყრეთ, მოძრაობის წესები არ დაარღვიოთო.

ერთი სიტყვით, თუ აქამდე მხატვრულ-ესთეტიკურ-ისტორიული ღირებულება ჰქონდა, დღეს პრაქტიკული დანიშნულება აქვს – რაღაც გაქვავებული პატრულის მსგავსი.

ახლა კი, როგორც ასევე გუშინ გაცხადდა, სულაც დედა-შადრევანი, შადრევანთა შორის უპირველესი, შადრევანი-ეპოქა, რომელსაც თურმე (ასე გვაამაყებდნენ!) არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ მთელ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში (და, მგონი, იმის იქითაც) გადალი არ ჰყავს, მოინაცვლებს ადგილს გმირთა მოედნიდან – ორთაჭალაში. „გუბერსკის“ ციხის წინარე მოედანზე ალიმართება მთელი თავისი 16-მეტრიანი ახოვნებით და როგორც ქვეყნის წინსვლისა და კეთილდღეობის უტყუარი დასტური, გულს გაუნათებს პატიმრებთან მოსაკითხით მისულ ჭირის უფალთ.

აღმოჩნდა, რომ აქ – საბურთალოსა და ვერის შესაყარზე, ქარი ნამეტნავად უბერავს, წყალი მილებში იყინება და ნაციონალური შადრევნის მოქმედება დროდადრო ფერხდება, თანაც ყოფილა საშიშროება, რომ წყალმა ქვევით, მოედნისქვეშა სატრანსპორტო მაგისტრალზე შეიძლება ჩააღწიოს...

ძალაუნებურად იბადება აბეზარი კითხვები:

თუ იყინება, თუ შეიძლება ჩაალწიოს, ეს არ უნდა სცოდნოდათ და გაეთვალისწინებინათ დედაქალაქის შადრევნებდანათლულ თინეიჯერ მამებს?

რა თანხებით ანაზღაურდება ეს გადაბარგება?

ან ვიცით კი, რა დაჯდა მისი სერიოზული შეკეთება, როცა გაშვების უმალ გააჩერეს, სწორედ „ჩალწევის“ მიზეზით?

ან, ორთაჭალაშიც რომ გაიყინოს (იქ რა, ნაკლებად უბერავს?ძ, ან სულაც გვირაბის გათხრაში ჩართონ პატიმრებმა, მაშინ რა ვქნათ, ქოგულეთში გადავიტანოთ, თუ ეკლიანი ღობე შემოვავლოთ?

მაგრამ ეს საბურთალო-ორთაჭალის როქი მე პოლიტიკური ნაბიჯი უფრო მგონია: ათასი ჯურის ჩასაფრებულ საერთაშორისო დამკვირვებელსა და მაკონტროლებელს თვალებზე აფარებთ სრულად ევროპის ჩემპიონ შადრევანს – პატიმრებისთვის არაფერი გვენანებაო, ყველაფერი საუკეთესო პატიმრებსო!

მოკლედ, მომთაბარეობს ერი, მომთაბარეობენ ბრინჯაოს მხედრები და ქვეყნის უპირველესი შადრევნები...

ახლა ვისი ჯერია?

სანდრო ალექსიძე

◎ **მსგეფსი: შაბათიდან შაბათამდე**

ყველაზე მეტად მაინც რამ გაგაკვირვათ ამ ერთ კვირაში?..

საჯარო დიალოგი, ანუ თქვენ დაბეჭდილი წაიკითხეთ, რასაც მე ყოველდღე ვისმენდი და დიქტოფონზე ვიწერდი



ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, თუ ამდაგვარად გავარვარებულ აგვისტოში ამდენი მცხუნვარე გასაკვირი ამბავი მოხდებოდა. სიცხისგან თუ სიდუხჭირისგან გათანგულ ხალხს თითქოსდა ლაპარაკის თავი აღარ უნდა ჰქონოდა, მაგრამ, ეტყობა, ამჯერად სწორედ ისეთი დრო გვიდგას, როცა მუნჯებიც კი ალაპარაკდებიან ხოლმე. მით უმეტეს, საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ინტელიგენცია წარმოადგენს.

ჩემს უკვე ძველ დიქტოფონზე ჩაწერილ მრავალი ადამიანის ნაუბარს არც არაფერს მივუმატებ და არც არაფერს მოვაკლებ. მართალი გითხრათ, გული მტკივა, ბევრი რამ ისეთი გავიგონე. გული კი იმიტომ მტკივა, როგორ ფიქრობთ, განა უნდა მიხაროდეს, რომ ხალხს პრინციპულად არ მოსწონს თავისი ნანინანატრად არჩეული ხელისუფლება, რომლისგანაც, რასაკვირველია, საქართველოს სამოთხედ ქცევას არ ელოდა, მაგრამ იმას კი აღარ იფიქრებდა, რომ ცოცხლად მოუწევდა ჯოჯოხეთში ცხოვრება?.. უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, დიახაც ისეა ახლა ჩვენს თავს, რომელ თავზეც, რა დასამალია და, წისქვილის ქვა გვიტრიალებს, საშველი კი არა და არა ჩანს...

არადა განა მართლაც საშინელება არ არის, როცა შენს სახელმწიფოს შენს სამშობლოდ ვერ აღიქვამ.

„დავითიანში“ ერთ ადგილას ნათქვამია, სიტყვავ ძლიერო... თხროგილო მაღლით, სმენილო დაბლით. ჩვენს შემთხვევაში პირიქით უნდა ითქვას, სიტყვავ ძლიერო... თხროგილო დაბლით, სმენილო მაღლით, რის დიდი იმედიც არა მაქვს, მაგრამ ძალიან მინდა, რომ ხალხის „თხროგილი“ გოლოს და გოლოს ისმინოს ხელისუფლებამ, რადგან ხალხის გულისთქმის მიმართ განგებ დაყრუება არასოდეს არ ყოფილა თუნდაც გველეშაპად ქცეული ხელისუფლებისათვის რისამე კარგის მომტანი...

აი ისიც – თხროგილი დაბლით...

– საყოველთაო აზრია, ძმაო, რომ დღეს საქართველოში ტყვიებად ნატყორცნი ტყუილებისა და არაკანონიერების ცუნამი ტრიალებს.

– მგონი, უფრო ტორნადო.

– ეგ ორივე ერთი უბედურებაა.

– ჩვენი საზოგადოება უკვე თვალცხადლივ ხედავს, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება ვითომ კანონიერების სახელით თუ გულისთვის გორტ ძალმომრეობას ეწევა და თანაც ყოველთავის არასამართლებრივ, ხშირად ანტიხალხურ ნაბიჯს ქვეყნის საკეთილდღეოდ გადადგმულად ასაღებს.

– ბრმა-ყრუობის დრო წავიდა, ჩემო ბატონო. ნურავინ ნუ დაბრალებს ქართველ ხალხს, რომ წესრიგსა და კანონს პატივს არა სცემდეს, ნურც იმას, თითქოს წესრიგსა და კანონს ძალადობისა და არამართლებრივი მოქმედებისაგან ვერ არჩევდეს.

– ყველა ყველაფერს ხედავს კიდეც და არჩევს კიდეც, გენაცვალე. თანაც ძალიან კარგადაც ხედავს და ძალიან კარგადაც არჩევს.

– მაგრამ, სამწუხაროდ, ახლაც მხოლოდ ურმის გადაბრუნების შემდეგ გამოჩნდა გზა... თითოეული ჩვენგანი არჩევანში მოტყუვდა. თითოეული ჩვენგანი კი ერთად ხალხია. და უკვე დღესავით ნათელია, რომ არჩევანში თვითონ ხალხი მოტყუვდა.

– ამიტომაც საქმის გამოსწორებაც მხოლოდ და მხოლოდ ხალხმა უნდა იკისროს.

– რა ვიცი, ანგელოზებად კი მოჰქონდათ თავი, რალა სიკეთეს აღარ გვპირდებოდნენ.

– კი გვპირდებოდნენ, მაგრამ ერისა და ქვეყნის მფარველად მოვლენილი ანგელოზის ნილაბი თავიანთივე საკუთარი ხელითჩამოიგლიჯეს.

– ხელი საკუთარი კი აგიათ, ოღონდ სხვა უმართავთ და სხვა უმოქრავებთ.

– რაც ის წინა შევარდენი იყო, მართვენიც ისეთი დაფრთიანა.

– ეგრეა, მგლისა ბატკანი ვის უნახავს?

– შელონებულმა ხალხმა უარი იმიტომ თქვა ძველ ხელისუფლებაზეც და ძველ პრეზიდენტზეც, რაკი ალარც ერთი ეძნა ღმერთს და ალარც მეორე.

– ხალხმა იმიტომ არჩია იმ უვარგის ძველს ახალი ხელისუფლება და ახალი პრეზიდენტი, რომ ერთხელ და სამუდამოდ საშველი დაადგებოდა მგელსაც და მგლისფერ ძაღლსაც, გუშინ და გუშინწინ გემრიელად რომ მიირთევდნენ საქართველოდ სახელდებულ ქვეყანას, ხოლო ახლა გამალებული რომ ღმურძლავენ და გოლომდე გამოხრულ ძვლებს უმადურობის ნიშნად თავში გვიჩაჩქუნებენ, თუმცა ჩვენს გამოლვიძებას რატომღაც პირი მაინც არა და არ უჩანს.

– ისე, კაცმა რომ თქვას, არც უნდა გვიკვირდეს ამჟამინდელი ხელისუფლების ძალმომრეობა, უკიდურესობამდე მისული ძალადობა, რადგან სწორედ ჩვენმა თანადგომამ, ხალხის მხარდაჭერამ შეაძლებინა ეგრეთწოდებულ ნაციონალურ მოძრაობას (მანამდე ეროვნული მოძრაობა ვიცოდითქ დიახაც ძალადობის გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რამაც დაარწმუნა კიდეც ეს ხელისუფლება, რომ მოძალადეობით მოპოვებული ძალაუფლების შესანარჩუნებლად ერთადერთი ულალატო იარაღი მარტოოდენ ძალადობაა.

იხ. 4 გვ.

● რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, ის შესანიშნავად იყენებს ოპოზიციის დაძსაძსულობას, იყენებს და ხელსაც უწყობს პოლიტიკური პარტიების სახელმწიფოსგან დაფინანსების წესის „გამარტივებითა“ თუ საარჩევნო გარიერის დაწევით

◎ განსჯა

„კანდიდატები“

სიტყვა „კანდიდატი“ ძალიან კარგი სიტყვაა და საზოგადოებაში რაიმე ადგილის დაკავებაზე პრეტენზიის გამომთქმელს (კარგი გაგებითაც ნიშნავს. ოდითგანვე სიტყვა „კანდიდატის“ მრავალი ფორმა არსებობდა. მაგალითად, „კომუნისტების დროს“ ყველაზე გავლენიან კანდიდატებად პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ითვლებოდნენ, ყველაზე ჯანმრთელებად სპორტის ოსტატობის კანდიდატები, ყველაზე პერსპექტიულებად კომუნისტური პარტიის წევრობის, ხოლო ყველაზე სტაბილურებად მეცნიერებათა კანდიდატები. დღეს კი ყველაზე გავლენიან, სტაბილურ, ჯანმრთელ და პერსპექტიულ კანდიდატებად პრეზიდენტობის კანდიდატები ითვლებიან (ყოველ შემთხვევაში მათ და მათს ახლობლებს ასე ჰგონიათ და ყველანაირად ცდილობენ, ხალხიც დაარწმუნონ ამაშიც.

იმ ჯარისკაცს რა ვუთხარი, გენერლობაზე რომ არ ოცნებობს და იმ პარტიის ლიდერსაც, ინაუგურაციის წითელი ხალიჩა რომ არ ესიზმრება ღამლამობით. დარწმუნებული ვარ, ყველა ე.წ. ლიდერმა ზეპირად იცის სიტყვები: „დავიცავ კონსტიტუციას და სამშობლოს ინტერესებს. გვფარავდეს ღმერთი!“

იცის, აბა არ იცის? იცის და ერთი სული აქვს, როდის წარმოთქვამს თეთრ და წითელ ჩოხებში გამოწყობილ საპარადო ბატალიონით გარშემორტყმული პარლამენტის შენობასთან.

შესანიშნავია, ნამდვილად შესანიშნავი!

კარგია, რომ რაღაც გინდა. კარგია, მაგრამ საკუთარი სურვილის ასასრულებლად ძალიან ბევრი რამაა საჭირო. მით უმეტეს ისეთი სურვილისა, როგორიც საქართველოს პრეზიდენტობაა.

ამ ბოლო დროს საქართველოში არჩევნების რამდენიმე ფორმა დამკვიდრდა. SMS- არჩევნები, ლოტოტორნი და არჩევნები ფეხბურთის ფედერაციის სტილში.

არჩევნების ბოლო ორი ვარიანტი განსაკუთრებული შემთხვევების დროს გამოიყენება, ამიტომ საზოგადოებისთვის ყველაზე მისაღები მაინც SMS- არჩევნებია, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყველა რეალითი შოუს რეკლამაში ამაყად ულერს ფრაზა „ყველაფერს მაინც ხალხი წყვეტს!“

მშვენიერი ფრაზაა: „ყველაფერს მაინც ხალხი წყვეტს!“ ყველაფერი მარტივად, გასაგებად და, რაც მთავარია, ბიუჯეტისთვის სასარგებლოდ მიმდინარეობს. როგორ? როგორ და ჩვეულებრივად: ხარ წამოწოლილი დივანზე, ან ზიხარ სამზარეულოში, ჭამ ლობიოს და მჭადს (პური გაძვირდა, თან ლობიოს მჭადი უხდება. ისე ლობიოსთან ერთად პასიც და წითელი ღვინოც კარგია, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტად ძვირი ოცნებაა): და უყურებ ტელევიზორს, სადაც ერთ ოთახში ჩამწყვდეული პრეზიდენტობის კანდიდატები სხვადასხვა დავალებას ასრულებენ. მაგალითად, ცდილობენ 38 ლარად ერთი თვის საკვები იყიდონ, იმგზავრონ გაძვირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით, გადიხადონ გაძვირებული გაზის და დენის საფასური, გაუშვან შვილები სკოლაში, იპოვონ ისეთი სამსახური, სადაც არც ინგლისური და არც კომპიუტერის ცოდნა მაინცდამაინც საჭირო არ არის. აქვე შეიძლება დამატებითი სირთულეების შეტანაც. მაგალითად, მიადგნენ მერიის ზედამხედველობის სამსახურის, ან ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომლები, პატრულთან და სპეცდანიშნულების გატალიონთან ერთად, და იმ ოთახიდან სულ ჯიკავ-ჯიკავით გამოიყვანონ. მოკლედ რომ ვთქვა, იცხოვრონ ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქის ცხოვრებით.

შენ კი ამ დროს მშვიდად აგზავნი SMS-ს დაუშვებლად გადარჩენილი კანდიდატის ნომერზე და ყველაფერი რიგზეა. ყველაფერი რიგზეა, რადგანაც არ გიწევს საარჩევნო უბანში რიგში დგომა, არც შეშინება თუ არა შეკრთომა მაინც, როცა კედელზე გაკრულ ამომრჩეველთა სიაში საკუთარი სახელის ნაცვლად 30 წლის წინათ გარდაცვლილ გაბუას ან ბებიას (შეიძლება ორივე ერთადაც იპოვი. არც უბანთან მდგომი ბრგე ახალგაზრდების გამჭოლი მზერისთვის მოგიწევს თვალის არიდება. თან SMS-სს რამდენიმე პლიუსიც აქვს. ჯერ ერთი, რომ ბიუჯეტიდან ფული კი არ დაიხარჯება, არამედ შევა. აბა, დათვალეთ, რა თანხები იხარჯება ბიულეტენების დაბეჭდვაზე, საარჩევნო კომისიების წევრთა ხელფასებზე და ათასგვარ სისულელეზე. აქ კი ოპერატორები ზუსტად დათვლიან შემოსული SMS-ების რაოდენობას. მეორეც: კანდიდატისგან ნაყიდი ბარათით შეგეძლება საზღვარგარეთ მყოფ ნათესავსაც დაურეკო და ჰკითხო, თუ როდის უპირებენ დეპორტაციას, რათა მისთვის საჭირო ბრგე ბიჭი მოწყობა მოასწრო.

ახლა კი, როგორც ვანო ჯავახიშვილი თავის შოუში ამბობს ხოლმე, „გვეყო ხუმრობა და სერიოზულად ვიმსჯელოთ“.

რატომღაც ამ ბოლო დროს პრესაში ხშირად ისმის ფრაზა: მოახლოებული არჩევნები. ცოტა გაურკვეველია, თუ რატომ არის მოახლოებული 2008 წლის შემოდგომა, რადგანაც ყველამ კარგად ვიცით, რომ ცხოვრების ისეთ პირობებში, როგორშიც საქართველოს მოსახლეობა იმყოფება, ყოველი წუთი საუკუნედ ეჩვენება ადამიანს.

მიუხედავად ამისა, ე.წ. საარჩევნო მარათონი გამოცხადდა. საქართველოს პრეზიდენტობაზე პრეტენზიები უკვე გამოთქვეს გია მაისაშვილმა, დავით გამყრელიძემ და სალომე ზურაბიშვილმა. ასევე „ადეკვატური მოქმედებებისთვის“ მზადყოფნა გამოთქვა კონსტანტინე გამსახურდიამაც. რაც შეეხება მოქმედ პრეზიდენტს, მან მეორე ვადით პრეზიდენტობაზე განაცხადი ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშის ჩამოსვლის წინ აეროპორტის გზაზე (ანუ ყოფილ კახეთის გზატკეცილზე და ახლანდელ ჯორჯ ბუშის ქუჩაზეძ ასფალტის დაგების დროს განაცხადა.

როგორც დადგენილი წესი მოითხოვს, ნებისმიერ კანდიდატს თავისი წინა საარჩევნო პროგრამა უნდა ჰქონდეს. საერთოდ ეს პროგრამები გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს და ამომრჩეველთა ძირითადი მასისთვის აბსოლუტურად გაუგებარი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების რახარუხს წარმოადგენს.

რა სურს ამომრჩეველს და რას სთავაზობენ კანდიდატები?

ამომრჩეველს ცხოვრების ნორმალური პირობები უნდა. კანდიდატები კი საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციას და საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციას სთავაზობენ (კიდევ არის რამდენიმე წინადადება, რომლებიც უხვად შეიცავს ლათინურ სიტყვებსძ. ეს ფრაზები კი ვენახდასეტყვილი კახელი გლეხისთვის, სალარო-აპარატდადგმული ლილოს ბაზრობის მოვაჭრისთვის, დამატებული ორი ლარით „ალტაცებული“ პენსიონერისთვის და გაურკვეველი მომავლის მქონე ახალგაზრდისთვის, რბილად რომ ვთქვა, საერთოდ არაფერს არ ნიშნავს.

დღევანდელი ხელისუფლების მიერ საკუთარი მოსახლეობის წინაალმდეგ განხორციელებული მრავალი დემარშის შემდეგ სრულიად ნათლად ჩანს ის საშინელი მომავალი, რაც საქართველოს ემუქრება. განადგურებული განათლება და ჯანდაცვა, ჩინელებისთვის მიყიდული მცირე, ხოლო რუსებისთვის და ყაზახებისთვის მიყიდული მსხვილი ბიზნესი, გაყიდული თბილისი, გაყიდული ტყეები, მდინარეები, საქოვრები, ხელოვნურად შექმნილი ცხოვრების გაუსაძლისი პირობები, ქართველი კაცისთვის ყოვლად მიუღებელი კანონები, კატასტროფულად გაუარესებული დემოგრაფიული მდგომარეობა და კიდევ ათასგვარი სხვა უგედურება წარმოუშობს ელემენტარულ მოთხოვნას, რომ ეს ყველაფერი უნდა შეიცვალოს. უნდა შეიცვალოს, ოღონდ კონსტიტუციურად, ნორმალურად, შეიცვალოს ისე, რომ ხალხმა თვითონ იბრძნოს თავი საკუთარი ქვეყნის პატრონად, იმ ქვეყნის პატრონად, რომელშიც კანონებს წერენ შოთას, ილიას, თამარის და დავითის ენაზე. წერენ და ეს ეამაყებათ. განსხვავებით იმ საქართველოსგან, სადაც ეამაყებათ „ბუშის ენაზე დაწერილი კანონპროექტები“ (გიგა ბოკერიას მიერ პარლამენტის სხდომაზე ნათქვამი ფრაზაძ.

საბნუხაროდ, საქართველოს მოსახლეობა მიეჩვია ნგრევებს, გამოსახლებებს, გაძვირებებს. მხოლოდ უნიათოდ გამოხატული პროტესტები, ტელე კამერების წინ გამოთქმული უმისამართო დაძახილები, რომლებიც უფრო სათამაშო წართმეული ბავშვის ტირილს ჰგავს, კიდევ უფრო აძლიერებს დაუსჯელობის სინდრომს.

ასეთ დროს კი ის ლიდერები, რომელთაც დღეგამოშვებით მაინც ესიზმრებათ პარლამენტის წინ დაგებული წითელი ხალიჩა, გაერთიანების ნაცვლად კიდევ უფრო ანაწევრებენ საქართველოს მოსახლეობას. ჩემი აზრით, ისინი საერთოდ მოწყვეტილი არიან რეალობას და ჰგონიათ, რომ მარტონი შეძლებენ არსებული ხელისუფლების შეცვლას. არადა, დიდი პოლიტიკური ნიჭი არ სჭირდება იმის დანახვას, რომ საშუალო ფენისა და გალზაკის ასაკის თბილისელი ქალბატონები არ წარმოადგენენ გადამწყვეტ ძალას არც ერთი სახის არჩევნებში (ეს ქალბატონ სალომეს არ ეხება, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ცსკ მას არ გაატარებს პრეზიდენტობის კანდიდატადძ.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, ის შესანიშნავად იყენებს ოპოზიციის დაძსაძსულობას, იყენებს და ხელსაც უწყობს პოლიტიკური პარტიების სახელმწიფოსგან დაფინანსების წესის „გამარტივებითა“ თუ საარჩევნო გარიერის დაწევით.

ასევე მან მოახერხა და თავისი გარემოცვისგან შექმნა საკმაოდ ეფექტიანი ბუფერი იმ ყველა დანაშაულებისაგან თავდასაცავად, რასაც ხელისუფლება სჩადის. მაგალითად: განათლების დანგრევა ლომაიას ბრალდება, საქართველოს გაყიდვა – ბენდუქიძეს, ერთვნულობის დაკნინება – ბოკერიას დ.ა.შ.

იხ. 5 გვ.

◎ ქსენოფობია

რუსეთიდან კვლავ გამოყრიან ქართველებს?

მოსკოვური ზეიმი, შესაძლოა, გლოვად შემოგვიბრუნდეს

მოსკოვი ზეიმისთვის ემზადება – სექტემბერში მისი დაარსების მრგვალი წლისთავია და გრანდიოზული ღონისძიებებიც იგეგმება. ხელისუფლება უსაფრთხოების ასეთსავე გრანდიოზულ ზომებს იღებს. „მოთელვა“ უკვე დაიწყო და მისი ერთ-ერთი პირველი მსხვერპლნი ქართველები აღმოჩნდნენ. ჯერ წელიწადიც არ გასულა იმ კოშმარიდან, ქართველებს დედაწულიანად რომ მიერეკებოდნენ „სვიატაია რუსიდან“ და, აი, ისტორია ასე მალე მეორდება. უფრო ზუსტად, „კოჭებში“ აშკარად ეტყობა, გამეორდება – მოსკოველი ქართველები ჩივიან, უკვე გვაჩერებენ ქუჩაში, საგუთებს გვიმოწმებენ, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალობაა, სულ არ აინტერესებთ, წესრიგშიც რომაა, ქართველობის გამო მაინც განყოფილებებში წაგვლალავენ ხოლმე „ვინაობის გამოსარკვევადო“.

უსაფრთხოების ზომების მიღება, რალა თქმა უნდა, აუცილებელია. მით უფრო, ასე მომძლავრებული მსოფლიო ტერორიზმის ფონზე, თანაც, რუსეთს ისე მაგრად აქვს „ნაჭამი“ თუნდაც ჩეჩნეთში, რომ სიფრთხილეს თავი ნამდვილად არ ასტკივა.

ტერორიზმის გამართლება დიახაც შეუძლებელია, მაგრამ ასევე შეუძლებელია ტერორიზმის საგაგით, მხოლოდ ეროვნული ნიშნით, ადამიანთა ღირსების ფეხქვეშ გათელვა. თვალწინ მიდგას რუს ე.წ. სამართალდამცავთა გაყინული ცინიკური სახეები, რუსეთის სხვადასხვა მიმღებ-გამანაწილებელში შერეკილმა ქართველებმა მოგილურებით უჩუმრად რომ გადაილეს. ძარღვიც არ გაუტოკდებოდათ, ისე შედგებოდნენ ჩექმებით დიდსა თუ პატარას, მხოლოდ იმის გამო, რომ ქართველები იყვნენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა უწყება ფლობს ინფორმაციას, რომ, შესაძლოა, რუსეთში მართლაც კვლავ აგორდეს ქართველოფობიის ტალღა და ჩვენი თანამემამულენი ისევ ისე მხეცურად გამოყარონ იქიდან. ოფიციალურადაც დაკავშირებიან მოსკოვს, მაგრამ რუსეთის ოფიციოზი ირწმუნება, მსგავსი რამ აზრადაც არ მოგვსვლია, უგოდიშოდ ხმას არავის გავცემთო. ისინი კი ამას გაიძახიან, მაგრამ ქართველთმოძულეობის ქარმა უკვე დაჰბერა, რასაც იძაური ქართველები ადასტურებენ რუსეთის ემიგრაციული სამსახურის უფროსის მოადგილემ ვიაჩესლავ პოსტავნინმა „ეძო მოსკვიში“ გამოსვლისას ისე მოიკატუნა თავი, შარშან მხოლოდ უკანონო მიგრანტები გავასახლეთ კანონის სრული დაცვითო და ისე „ალალად“ გაიკვირვა, საიდან უნდა ჰქონდეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვითომ ქართველთა დევნის, გასახლების ახალი ტალღის აგორების ინფორმაცია, თუ კი ამის განზრახვაც კი არა გვაქვსო, რომ აშკარაა – ცუდი რამ მოხდება და ამ ცუდის კვლავ კანონიერებაში შეფუთვას შეეცდებიან.

ერთხელ დათესილი სიძულვილის, შურღლის ამოძირკვა ძალზე რთულია. რამდენი ქართველი მოკლეს რუსეთში ქართველობის გამო მას შემდეგაც, რაც დეპორტირების ტალღა ჩაცხრა?! ტალღა კი ჩააცხრეს, მაგრამ ქართველთმოძულეობის ოფიციალური პოლიტიკური კურსი გრძელდებოდა და კვლავაც გრძელდება და ის, რაც რუსეთისთვის ზეიმი იქნება, ჩვენი იძაური თანამემამულეებისთვის, დიდად სავარაუდოა, გლოვად იქცეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გატონმა გიორგი მანჯგალაძემ ზემონახსენებს – ინფორმაცია გვაძვს რუსეთიდან ქართველების შესაძლო განმეორებითი გამოყრის შესახებ და მოსკოვს ამის თაობაზე ოფიციალურად მივმართეთო – დაურთო, ოფიციალურადვე განვუცხადეთ, თუ ასეთი რამ მოხდა, აუცილებლად ადეკვატურ ზომებს მივიღებთო.

მაგრამ ეს „ადეკვატური ზომები“ ვერანაირად ვერ იქნება იმ ზომების ადეკვატური, რაც რუსეთს შეუძლია მიიღოს...

კონსტანტინე გურგენიძე

ჩარხი ნუთისოფლისა

● ეს ერთი და ორი კაცის აზრი არ არის, ასე ფიქრობს დღეს ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა, რომელიც მაზა-მაზა დაპირებებით მოალორეს და პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს

◎ მსგეფსი: შაბათიდან შაბათამდე

(მეორე გვერდიდან)

— დღესაც სხვა არაფერი ხდება, შენი ჭირიმე, თუ არა ისევ და ისევ ძალადობის გზით ძალაუფლებისათვის ბრძოლა, ოღონდ ახლა თვით ამ ბრძოლის შენილბვა გახდა საჭირო. ხალხზე მზრუნველი ხელისუფლების ნიღბით შენილბვა.

— მერედა, როგორ გამოიყურება ეს ნიღაბი? უფრო სწორად ძალაუფლების გახანგრძლივებისათვის ყოვლად უტიფარი ბრძოლის ნიღაბი?..

— ყველაფერი აშკარაა... იმისათვის, რომ ქვეყანაში ვითომ „კანონმა იკანონოს“ და დამთავრდეს „უწესრიგო წესრიგი“, ვძმნით „მსოფლიოში ყველაზე უფრო გაწვრთნილ, ჩაცმულ-დახურულ და, მაშასადამე მოურეველ მრავალათასიან პოლიციას!..“ რომელმაც კანონის მახვილი უნდა მიმართოს უწინარესად სიდუხჭირისგან გზასაცდენილთა წინააღმდეგ (თანაცხელისუფლებისაკენ ცერად რომ იცქირებიანძ და არამც და არამც „თავისიანების“ წინააღმდეგ, თუნდაც თვით წესისა და რიგის დამცველი მინისტრის ოჯახობა საუკუნის საზარელ გკვლელობაშიც იყოს გარეული. მან, პოლიციამ, კისერი უნდა მოუგრიხოს თითქმის სამ მილიონ მშიერ უმუშევარ მოქალაქეს, საბოლოოდ იმედგადაწურულს... და ბევრი უკანონოდ კისერმოგრეხილი აკი ლესავს კიდეც არაადამიანურ პირობებში „ევროპულ-ამერიკულ დონეს“ სულ ცოტა ასი წლითჩამორჩენილი ციხეების კედლებს.

— საერთოდ, ჩემო მეგობარო, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ხელისუფლებას ხელს კი არ უწყობს საზოგადოების კრიმინალიზაციის შემცირებას, პირიქით, კრიმინალიზაციის გაფართოების გზით ცდილობს საზოგადოებისავე „მორვჯულებას ჭირვეული ცოლივით“, რომლის ჭირვეულობაც სულაც დალხენილი ცხოვრების ბრალი არ არის...

— იმისათვის, რომ ტერიტორიულად დაძუცმაცებული საქართველო ვითომ გაერთიანდეს, ვძმნით ისევ „მსოფლიოში ყველაზე უფრო შეიარაღებულ, ჩაცმულ-დახურულ და, მაშასადამე, უძლიერეს ოცდათასიან ჯარს!..“

— ამ დროს კი თურმე არავისთან ომს არ ვაპირებთ, მხოლოდ და მხოლოდ პატრიოტთა განაკებით, დისკოთეკებით, კონცერტებითა და ტაშ-ფანდურით ვეპირებით ძვეყნის გაერთიანებას.

— ვითომ მართო „ფანდარასტ კოკოიოთის“ ძახილი გვიშველის?!

— ისე, ჩვენში დარჩეს, ბალაფშმა რალა კეთილი დაგვაყარა? ბარემ იმასაც აფხაზურად შევუძახოთ, იქნებ ისიც კოკოიოთან ერთად წავიდეს, ორივემ თავი დაგვანებოს...

— ხერხი სჯობია ღონესაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი.

— ეტყობა, უმარად უნდა გავერთიანდეთ, აბა, ეს ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი ბეჟუაშვილი ამდენ ინგლისურს ტყუილად ხომ არა ხარჯავს!

— არველაძე მაინც ყველაზე მაგარი მინისტრია, ძმაო. გაიგე, რა თქვა, რუსთაველი მწერალთა კავშირის წევრი არ იყო, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ ვერ დაწერაო?! აი, ნახავთ თუ მაგან ცოტა ხანში განათლებისა და კულტურის სამინისტროებიც არ შეიერთოს.

— მაგასაც კარგად უთხრეს, ნუ გეშინია. არც ეკონომიკის მინისტრი ყოფილა რუსთაველის დროს, ის დრო კი მაინც „ოქროს ხანად“ დარჩა ისტორიაშიო.

— იმდენი გასაყიდი სად იყო მაშინ, რაც ახლა ამ ველაძის ხელში იყიდება.

— მაგას მამაც ყოჩალი ჰყავს, გენაცვალე, თავისი კომუნისტობით იმდენი ფული იშოვა და ისეთი საბალანსო ფული, ეხლა ამერიკელებისთვის თურმე თორმეტი ათას დოლარად აძვს მიძირავებული.

— ეტყობა, ერთ მშვენიერ დღეს მთელი მსოფლიო აქ დაიწყებს სიარულს, თორემ ამდენ სასტუმროს, აბა, რატომ ააშენებდნენ?

— ეგრეა, ეგრე. საქართველო ერთ დიდ სასტუმროდ გადაიქცევა და მთელი მსოფლიოს ფულიც აქ მოიყრის თავს.

— მანამდე კი სხვა ფულია საჭირო.

— მერე საიდან?

— გაჭირვებამ აკი დედოფალთან დაგვაწვინა. გაჭირვება გვიჩვენეს და გაქცევაც ვუჩვენეთ. ნახევარი საქართველო გარეთ გაიხვეტა... სწორედ „სხვა ფულის“ შოვნის ჟინმა წარმოშვა ეგრეთწოდებული „ბენდუქიქიზმი“, რაც ჯერ სინდის-ნამუსის, ხოლო შემდეგ თავის ხალხიანად ძვეყნის გაყიდვას ნიშნავს. თუმცა, ეს ფორმულა თვითონ უნამუსო გამყიდველთა ენაპირით ასე გამოითქმის, სინდის-ნამუსის გარდა, ყველაფერი იყიდებაო.

— როცა კაცს სინდის-ნამუსის ნატამალი არა გაქვს, რა სინდის-ნამუსის გარდაზე შეიქლება ლაპარაკი!

— აბა, როგორ? შენახვა ხომ უნდა ამხელა ჯარს, ამხელა პოლიციას, ამხელა სახელმწიფო აპარატს, რომელთაც უწინარესად და უპირველესად ის დანიშნულება აქვთ, რომ ძალაუფლება შეუნარჩუნონ ამჟამინდელ ხელისუფალთ, ვისაც ხალხისთვის ბრტყელ-ბრტყელი, ჰასტა-ჰასტა სიტყვების მეტი სხვა არც არაფერი ემეტებათ.

— ასეთია, ბიძია, ჩვენი ძვეყნის მშვიდობისმოყვარე მხედართმთავრის ტაქტიკა, ანუ ძალაუფლების შესანარჩუნებლად ბრძოლის ხერხები, და სტრატეგია, ანუ ამ ხერხების გამოყენების ხელოვნება.

* * *

ვიცი, ხალხი ჭრელია, ვიღაც აუცილებლად იტყვის, ახლა აჭიკჭიკდით ეს ჟურნალისტები, როცა კომუნისტებისაგან წამოჭიმული შენობა კანონიერად დაგატოვებინესო?!

არა, ბატონებო, ჩვენ ახლა არ ავჭიკჭიკებულვართ. ეს „ჭიკჭიკი“ მაშინვე დავიწყეთ, როგორც კი ჩვენი მშვიდობისმოყვარე მხედართმთავრის ტაქტიკისა და სტრატეგიის წყალობით ძვეყანაში „ბენდუქიქიზმი“ ამუშავდა, ანუ ძვეყნის ძირზე გაყიდვა მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლების გადარჩენის მიზნით... აბა, უფულოდ ხეჩენის მიზნით... აბა, უფულოდ ხეჩენის მიზნით... ეს ეგ ეს ეს ... ეს ... ...

ალბათ ძალიან ცოტაა ისეთი გულუბრყვილი მოქალაქე, რომელსაც სჯერა, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევის საკითხს მხოლოდ იმ 3000 საარჩევნო უბანზე წყდება, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზეა მიმოფანტული.



„კანდიდატები“

(მესამე გვერდიდან)

სწორედ ამიტომ მოსახლეობის დიდ ნაწილს მაინც აქვს შეგრძნება, რომ „მეფე კეთილია“ და ტოტო კუტუნიოს კონცერტებზე მოსიარულე ხალხი სწორედ მას დაუჭერს მხარს.

ხალხი უნდა გაერთიანდეს. უნდა გაერთიანდეს უფრო დიდი იდეის, უფრო დიდი მიზნის გარშემო. ისეთი იდეის, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე სალარო აპარატები, ვიდრე უკანონოდ დანგრეული, ან ჩამორთმეული შენობები. ყველა სხვა შემთხვევაში ყოველდღე ვნახავთ ახალ-ახალ ატირებულ, დაჩაგრულ, საკუთარი სახლებიდან, თუ სამსახურებიდან გამოყრილ ადამიანებს.

ისმის მარტივი კითხვა: კი მაგრამ, ვინ მოახერხებს ამ დიდ გაერთიანებას?

ალბათ ძალიან ცოტაა ისეთი გულუბრყვილი მოქალაქე, რომელსაც სჯერა, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევის საკითხს მხოლოდ იმ 3000 საარჩევნო უბანზე წყდება, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზეა მიმოფანტული.

საქართველოს საკმაოდ სერიოზული გეოპოლიტიკური მდებარეობა უკავია, სწორედ ამიტომ, თუ ვინ იქნება მისი პრეზიდენტი, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ამერიკა-რუსეთის ურთიერთობაში. ასევე, თუ გავითვალისწინებთ 2008 წლის შემოდგომაზე ამ დიდ ქვეყნებში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებს, ნათელი ხდება, რომ „ჩვენი“ არჩევნების შედეგები მათზე ერთმნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული. მოსალოდნელია კიდევ ერთი, საკმაოდ ძლიერი კანდიდატის გამოჩენაც, რომელიც, სავარაუდოდ, მას შემდეგ დასახელებს თავის კანდიდატურას, რაც რუსეთში პუტინის რეალური მემკვიდრე, ხოლო ამერიკაში დემოკრატების კანდიდატი დასახელდება.

გარდა დასახელებული კანდიდატებისა, ქართულ პოლიტიკაში მოიქცევიან ისეთი ლიდერები, რომლებიც, ასე ვთქვათ, არ ჩქაროვენ ღიად განაცხადონ თავიანთი სურვილები.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ შალვა ნათელაშვილს ჰყავს საკმაოდ დიდი „საკუთარი“ ელექტორატი, ის არ დაიყენებს თავის კანდიდატურას პრეზიდენტის პოსტზე, რადგანაც, პირველ რიგში, მან კარგად იცის, რომ „გარე“ მფარველების გარეშე საქართველოს პრეზიდენტობა შეუძლებელია, ასევე: მისი ელექტორატი „ვერ გაძაჩავს“ საპრეზიდენტო არჩევნებს, არაფერი რომ ვთქვათ „მუდმივი ოპოზიციონერის თბილ გუდაზე“.

ერთკაციანი პარტიების ლიდერები ამ დიდ ბრძოლაში არ ჩაებმებიან, ხოლო თუ ვინმე მაინც წამოაყენებს თავის კანდიდატურას, ეს უბრალოდ იმისთვის იქნება საჭირო, რომ რამდენჯერმე გამოჩნდეს ტელეეკრანებზე და ხალხს თავისი არსებობა კიდევ ერთხელ შეახსენოს.

საქართველოში არჩევნებით ხელის უფლების ცვლა ყოველთვის პოლიტიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა. ამიტომ დიდი პიზნესის წარმომადგენლები, ფაქტობრივად, არ ჩნდებიან საარჩევნო ბატალიების დროს. მაგრამ დღეს ვითარება საფუძვლიანად არის შეცვლილი. სწორედ ამის გამო საკმაოდ აქტიურად მუსირებს აზრი გადრი პატარკაციშვილის მიერ ახალი პარტიის ჩამოყალიბების შესახებ. როგორც ცნობილია, ბატონი გადრი პატარკაციშვილი აქტიურად თანამშრომლობს ჰილარი კლინტონის საარჩევნო შტაბთან. ასევე ცნობილია, რომ მას ძალიან კარგი ურთიერთობები აქვს ვლადიმერ პუტინის მემკვიდრის „შემრჩევ ჯგუფთან“. ამიტომ, შეიქმნება თუ არა ახალი პარტია და იქნება თუ არა ახალი კანდიდატი, წლევანდელი შემოდგომის მიწურულს გახდება ცნობილი.

დასასრულს მინდა ვთქვა, რომ „დიდი ამბები მოხდება საყველიეში“ და ამ დიდი ამბების მოსაგვარებლად ქართველი ხალხისთვის SMS-არჩევნები ყველაზე მისაღებია, მისაღებია, რადგანაც იქმარლაც ყველაფერს ხალხი წყვეტს. სხვა შემთხვევაში კი . . . ეჰ.

გია გაბრიჭიძე

◎ განსჯა

ამ წერილს გწერთ მამა-შვილური, კეთილი სურვილებით და იმედი მაქვს, გულდასმით და ბოლომდე წაიკითხავთ, თუმცა ჩემს მიმართ, იმ კაცის მიმართ, რომელიც თქვენი რამდენიმე პროექტის წინააღმდეგი იყო და არის დღესაც, კეთილგანწყობა და, გუნებრივია, მისი მოწერილის წაკითხვის სურვილიც შეიძლება არ გაქონდეთ.

ამგვარი წერილი ჯერ კიდევ მაშინ დავწერე, როცა ზუგდიდის მუზეუმის ულამაზესი ეზოს და არანაკლებ ულამაზესი ისტორიული კარიბჭის წინ ძეგლის ფანჩატურის მაგვარი არქიტექტურული სიმახინჯე დაიდგა, და განსაკუთრებით მაშინ, როცა დედოფლის სასახლისა და ეკლესიის გვერდით „ეშმაკის ბორგლის“ დადგმის შესახებ განზრახვა გაცხადდა. მაშინ ტელევიზიით, რადიოთი და პრესით ჩვენი ძალაძის ხვალინდელ დღეზე მოფიქრალმა ადამიანებმა პროტესტი გამოვთქვით. მართალი გითხრათ, გვესიამოვნა ის, რომ ხელისუფლება არ გაჯიქდა, და იმ სამარცხვინო კაფე-ბარის ალების გადაწყვეტილება მიიღო (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, განათლების მინისტრის ბატონ კახა ლომაიას პრინციპული პოზიცია და, განსაკუთრებით, როცა ნაცვლად განზრახული „ეშმაკის ბორგლისა“, იმ სასახლისა და ტაძრის გვერდით, სადაც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე – ღვთისმშობლის კვართი მსვენარებს, გაშენდა ულამაზესი სკვერი უწყინარი საბავშვო გასართობებით.

გვესიამოვნა, რადგან აქ დავინახეთ ხელისუფლების მიერ ხალხის აზრისადმი პატივისცემის გამოვლინება. ხელისუფლებისა და მოსახლეობის სწორედ ამგვარი ურთიერთობაა დემოკრატია, რადგან როცა რიგითი მოქალაქე, ჩვეულებრივი მოკვდავი, თავს იგრძნობს ისეთი საზოგადოების წევრად, ისეთი სახელმწიფოს ძვეშევრდომად, სადაც მის აზრს იზიარებენ, არ დევნიან და აბუჩად არ იგდებენ, მისი ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება კეთილგანწყობილი ხდება, ის ბევრად კანონმორჩილ, დემოკრატიული ღირებულებების ერთგულ მოქალაქედ ჩამოყალიბდება.

ბატონო ზაზა, თქვენგან, როგორც მხარის უმაღლესი ხელისუფლისაგან, რომლის მიმართ მადლიერების გრძნობა ზუგდიდში უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებლის დატოვების საქმეში გამოჩენილი პრინციპულობისათვისაც მსურს გამოვხატო, საზოგადოება ამჯერადაც ელის პოლიტიკურ მოქნილობას და სწორ ნაგიჯს, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უძვირფასესი ძეგლის – სამეგრელოს მთავართა სასახლეების ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის ხელუხლებლობის საქმეში. რატომ მოგმართავთ თქვენ და არა ეკონომიკის მინისტრს ბატონ გიორგი არველაძეს. ის ეკონომიკის მინისტრია და დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტად ძეული ტურიზმის განვითარებისთვის, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ზრუნავს უწინარესად. და ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ხუთთვიანი სასტუმროს მაინცდამაინც ნიკოს სასახლის გვერდით წამოჭიმვის იდეა, არა მგონია, მას ეკუთვნოდეს, ეს აქედან, ზუგდიდიდან, ჩანს აშკარად შეთავაზებული. ვისი იდეაა, ამას ახლა არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ახლა მთავარია გავერკვეთ იმაში, თუ რატომ არ შეიძლება მიწის ამ ნაკვეთის გაყიდვა და იქ თუნდაც პატარა სასტუმროს წამოჭიმვა.

ჯერ ერთი, ეს ტერიტორია, რომელიც ნიკოს სასახლიდან ორმოციოდე ნაბიჯზე მდებარეობს, ძეგლის (ანუ, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის) კუთვნილებას წარმოადგენს და სამართლებრივად მისი გაყიდვა უკანონოა (ამაზე, უპირველეს ყოვლისა, კულტურის სამინისტრომ უნდა ამოიღოს ხმა). მეორეც, თუ აქ სატუმრო აშენდება, მას დასჭირდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა (მანქანების დასაყენებელი ადგილი, დამხმარე ნაგებობები და ბოლოს და ბოლოს – სასტუმროსთან მისასვლელი გზა. ამიტომ საჭირო გახდება ამ მიზნით დადიანების სასახლეთა ულამაზესი კარიბჭის გავლით ეზოს სასეირნო გზის გამოყენება, რომელიც სასახლის გაღლისაკენ მიუნდა. მესმის, ზუგდიდის უმთავრესი და საუკეთესო სასტუმრო ქალაქის შუაგულში სჯობს აშენდეს, მაგრამ ასეთი ადგილის გამოქაგნისათვის აუცილებელი არაა გონების დაძაბვა. ასე რომ, გამოსავალი არსებობს და მასზე უარის თქმა ქალაქის უმთავრესი ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის საზიანო ახირება იქნება, ვიდრე სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსის ნაგიჯი.

დადიანების სასახლეს ნურცრას წავართმევთ და ნურცრას დავუმასინჯებთ

ღია წერილი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს ბატონ ზაზა გოროზიას და ბიზნესმენს ბატონ ლევან ქარდავას

ცნობილი გახდა, რომ მიწის ნაკვეთს, რომელიც ნიკოს სასახლის გვერდით მდებარეობს, ახალგაზრდა ბიზნესმენი ლევან ქარდავა ყიდულობს. ამ ჭაბუკს ზუგდიდში მოლვაწე მეცნიერებსა და კულტურის მოღვაწეებთან ერთად პირადად შეეხვედრივარ მისივე სურვილით მოწყობილ შეკრებაზე, სადაც გაგვაოცა ქართული (კერძოდ კოლხურიძ კულტურის შესწავლის, ამ საკითხებზე ძვირადღირებული ნიგნების გამოცემის დაფინანსების გულწრფელი სურვილის გამოხატვით. ამით ალტაცებულებმა დავიწყეთ მზადება კოლხური კულტურის, ენისა და ისტორიის არასამთავრობო ინსტიტუტის დაფუძნებისათვის. მაგრამ, მოულოდნელად, ეს კეთილი საქმე ჩაიშალა. დიდი გაჭირვებაა არ იყო საჭირო იმისთვის, ამის მიზეზს მივხვედრილიყავით. ვიღაც ზემდგომმა, „უჩემოდ რად იმღერეთა-ს“ ძვენაგრძნობის გამოისოგით, დაუშალა მას ამ კარგი საქმის ხორცშესხმა.

აშკარაა, ლევან ქარდავა დიდი ეროვნული საქმეებისთვის ყველაფრის გამღები ახალგაზრდა კაცია (ასეთები გვიმრავლა ტიკის ხელმძღვანელობა, ამიტომ სწორედაც გასაკვირია, ასეთ კაცს რაგორ შეაგეს ეჟვანი და დაითანხმეს ამ ხელშეუხებელი ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის კუთვნილი ტერიტორიის ნაწილის შესყიდვაზე, რაც საკუთარი ქვეყნის ისტორიის გაყიდვის ტოლფასია. ეს რომ მართლაც მოხდეს და იქ სასტუმროს აშენებით ქეგლს გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს, ლევან ქარდავას ალბათ თავი არ გამოეყოფა არათუ სამეგრელოში, მთელს საქართველოში. ასეთი გიზნესით მილეგული ფული არც მას შეერგება და არც იმათ, რომლებიც შეიძლება მისი მეშვეობით ჯიბეების გასქელებას გეგმავდნენ.

ბატონო ზაზა! ბატონო ლევან!

მთელი ცხოვრება მოყვარეს პირში უზრახეს პრინციპით მიცხოვრია, ყველა მთავრობას, ყველა შემძლე კაცს სიმართლეს პირში ვეუბნებოდი. ისიც მინდა იცოდეთ, რომ „ვარდების რევოლუციის“ დღეებში თბილისში ავტობუსებით შევარდნაძის რეჟიმის მოქულენი მეც ათობით ჩამიყვანია. სიქულვილით დაბრმავებულთა და რუსეთიდან მართულ გამცემთა მარაქის წევრად ნუ მიმიჩნევთ. მე რასაც ვაკეთებ, ჩემი ქვეყნის, ჩემი კუთხის, ჩემი ქალაქის სასიკეთოდ ვაკეთებ. ამიტომ იმედი მაქვს, ჩემი გულისტკივილის მიზეზს გაითავისებთ.

ყველაფერი ის, რაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შემართებითა და სურვილით საქართველოში უცხოელი ტურისტების მოსაზიდად კეთდება, მხოლოდ გრიყვსა და ჩვენი ქვეყნისა და მტერს არ უხარია. გზების, სასტუმროების, ულამაზესი სკვერებისა და პარკების, ბავშვთა გასართობი ობიექტების მშენებლობა, რასაც ესოდენ საჭიროებდა ჩვენი ქვეყანა, მხოლოდ მახარებს. მაგრამ კარგი საქმე ისე უნდა აკეთო, რომ მნიშვნელობით თუ მეტი არა, არანაკლები სხვა საქმე არ გააფუჭო.

უღრმესი პატივისცემითა და ჩემი და მთელი ზუგდიდის სატკივრის მიმართ თქვენგან მართებული პოზიციის დაკავების იმედით.

აბესალომ ტულუში
ქ. ზუგდიდი

ეს იყო, იყო...

● ექიმმა გაზი მოიმარჯვა, ფესვეგიანი კგილეგის დაძროგა დამიწყო, რა თქმა უნდა, უნარკოზოდ. ამ „მკურნალოგის“ დროს მაიორი მარქაროვი მიამიტად, გადაჭარგეგული ზრდილოგით მეკითხეგოდა, – წინა ჩვენეგეგზე დასამატეგელი ხომ არაფერი გაქვთო?“



◎ 1990-იანი წლეგის რეპრესიეგის „შავი იუგილე“ (70 წლისთავი)

„ინტერნაციონალური“ დესანტი

ნაწყვეტეგი ჯერ გამოუქვეყნეგელი წიგნიდან „დაკარგული საფლავეგი“

ლმერთმა იცის, ოდესელი ეგრაელი ალექსანდრე ხაზანი როგორ მოხვდა საქართველოში, მაგრამ 1928 წელს უკვე IV განყოფილეგის ანტიპარტიული კონტრრევოლუციური ფორმირეგეგის წინააღმდეგ მეგრძოლ პირველ ქვეგანყოფილეგას ხელმძღვანელოგდა. ამ პერიოდში მისი უფუალო მონაწილეოგით დააპატიმრეს საქართველოს „ტროცკისტული ორგანიზაციის“ 1400 წევრი, გაანადგურეს მრავალი ტროცკისტული ჯგუფი.

მასაც უმაღლესი განათლეგა ჰქონდა, არც მისთვის შეუშლია ხელი იმას, რომ გიქამისი შანხაის უნივერსიტეტის პროფესორი იყო (როცა სურდა, პოლიტსამმართველო გეკრ რამეზე ხუჭავდა თვალს.ძ. ხაზანმა მოაწერა ხელი მიხეილ ოკუჯავას ჩვენეგაზე, რომ ის საფრანგეთის ფასიანი ჯაშუში იყო და თან კვეგის მრეწველოგაში მავნეგლოგას ეწეოდა – დაგალი ხარისხის კონსერვეგს უშვეგდა, რათა ამით მოსახლეოგის უკმაყოფილეგა გამოეწვია.

ხაზანს ჩვეულად ჰქონდა სხვა გამომძიეგლეგის კაგინეტში შესვლა და მათთვის შენიშვნის მიცემა პატიმრის მიმართ რგილი მოპყრობის გამო, მოითხოვდა, ისინი ფეხზე მდგომი დაეკითხათ. ძოგულოვის, სავიცკის, კრიმიანისა და ხაზანის შესახეგ თვით შინსახკომის მუშაკეგი შიშით ამგოგდნენ, მათ ნეგისმიერი უდანაშაულო ადამიანის დახვრეტა შეუძლიათო. ეს მართლაც ასე იყო.

ხაზანის სადიზმი იმდენად თვალში საცემი გახდა, რომ კოლეგეგის ალფოთეგაკი გამოიწვია – 1938 წელს მისი საქმე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრეგულ ინსპექციას გადასცეს განსახილველად. გაღჩო ძოგულოვის დახმარეგით ციხეს თავი დაღწია, მაგრამ ორგანოეგში მაინც არ ალადგინეს. სამაგიეროდ... სკპ (ბძ ცენტრალური კომიტეტის განკარგულეგაში მიავლინეს. თუმცა, იმასაც ამგოგენ, ხაზანი ომის დროს ისევ შინსახკომის ფორმით დაიარეგოდაო. 1955 წელს ისიც დახვრიტეს.

* * *

დაუნდოგლოგითა და არაადამიანურობით ყველას შიშის ზარს სცემდა ოპერრწმუნეგული გიორგი პარამონოვი, 1907 წელს გაქოში დაგადეგული რუსი. თუმცა, არც პარტიის წევრი იყო, მთელი მისი განათლეგა მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნით შემოიფარგლეგოდა, მაგრამ გონეგრივ სილამაკეს ხელი არ შეუშლია უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტის სახელის მოხვეჭაში. პარამონოვმა, ჯერ კიდევ გამომძიეგელ-სტაჟიორად ყოფნისას გამოიჩინა თავი სისასტიკით, რამაც მას შემდეგ ხელი შეუწყო სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრეგულ საქმეთა საგამოძიეგო ნაწილის უფროსის მოადგილე გამხდარიყო. ის ყოველთვის სარგეგლოგდა გერიას განუსაზღვრელი მხარდაჭერით. ფანატიკური ერთგულეგით აკომპენსირეგდა განათლეგისა და უნარის ნაკლეგოგას.

პარამონოვმა სივიცკისთან ერთად შეძლო პატიმარ ჩახვაძისთვის გამოეგლიჯა „ალიარეგა“ „მემარჯვენე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში“ 131 კაცის მონაწილეოგის შესახეგ, მათ შორის საქ. კპ (ბძ ცკ-ის ყოფილი მდივნის ლევან ლოლოგერიძისა და სკპ (ბძ ამიერკავკასიის საგხარეო კომიტეტის ყოფილი მდივნის მამია ორახელაშვილისა. ამიტომაც იყო, რომ, როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა სახკომი სერგო გოგლიძე 1938 წელს ლენინგრადის პოლიტსამმართველოს უფროსად გადაიყვანეს, ისიც თავისთან წაიყვანა. პარამონოვი 1955 წელს სიკვდილს დაუძვრა, სასამართლომ მხოლოდ 25 წელი მიუსაჯა“.



* * *

ალგათ, ძნელია ადამიანის გონეგამ მოიფიქროს წამეგის უფროსასტიკი ფორმეგი და მეთოდეგი, რასაც ეს ოთხეული მიმართავდა დაკითხვისას. უდანაშაულო ადამიანეგს სცემდნენ რეზინის ჯოხეგით, მავთულწნულეგით, ზუმგეგით, ჩექმის ქუსლეგით უჭეჭყავდნენ ფეხის და ხელის თითეგს, მარყუჟს უჭერდნენ სასქესო ორგანოეგზე და ქაჩავდნენ, არ აძლევდნენ ძილის საშუალეგას, წყალს, აშიმშილეგდნენ.

როგორც 1955 წელს მიცემულ ჩვენეგაში შინსახკომის შინაგანი ციხის ყოფილი მუშაკეგი წერენ, კრიმიანი, სავიცკი, ხაზანი და პარამონოვი სპეციალურად მიდიოდნენ კომენდატურაში და დასახვრეტად გაყვანისას „თავიანთ“ პატიმრეგს კიდევ ერთხელ სცემდნენ, ასე ვთქვათ, „გამოსამშვიდოგეგლად“. ხანდახან კი ამ მიზნით უშუალოდ დახვრეტის ადგილზეც მიჰყვეგოდნენ. მათი „გართოგა“ მხოლოდ ხელმძღვანელოგის ჩარევის შემდეგ შეწყდა.

სავიცკი და ხაზანი „ინტელექტულეგად“ ითვლეგოდნენ – მათ ანდოგდნენ დაკითხვეგის ე. წ. განმაზოგადეგელი ოქმეგის თხზვას. ისინი საგანგეგოდ ფერჩეული ხერხეგით აიძულეგდნენ პატიმრეგს ხელი მოეწერათ ფალსიფიცირეგულ ჩვენეგეგზე, წამდაუწუმ მიმართავდნენ წამეგას. ამას გარდა, ხაზანს, როგორც ძოგულოვის თანაშემწეს, მინდოგილი ჰქონდა „ფორმულარ-დამუშავეგის“ წარმოეგა შინსახკომის თანამშრომლეგზე. ეს ოთხეული (პარამონოვის გამოკლეგით) გერიაძოგულოვ-გოგლიძის დახვრეტის შემდეგ მიაყოლეს თავიანთ შეფეგს რაფავა-რუხაძე-წერეთელთან ერთად.

* * *

სისასტიკითა და გულქვაოგით მათ მხარს უმშვენიდნენ გამომძიეგლეგი არმენ ოვიანი, ნიკოლოზ შუტოვი, ძმეგი გურგენ და ივანე აივაზოვეგი, ნიკოლოზ კოვალჩუკი (კოვალჩუკს მიჰყავდა 1937 წლის ზაფხულში დაპატიმრეგული საქ. ალკკ ცკ-ის ყოფილი მდივნის ასლამაზოვის საქმე, ის პატიმარს საშინლად სცემდა. ერთ-ერთი დაკითხვის დროს ასლამაზოვმა ვერ გაუძლო, გამომძიეგლის კაგინეტის ფანჯრიდან გადახტა და სასიკვდილოდ დაიმტვრაქ, იაკოგ ვინერი, დავით თვალჭრელიძე, ვლადიმერ მაქსიმენკო, გიორგი ლაზარიანი, იაკოგ ალტაევ-დუგროვნი, სერგო დავლიანიძე... გრძელია ეს სია.

მწერალი ჭაგუა ამირეჯიგი თავის გახმაურეგულ რომანში „გორა მგორგალი“ წერს: „თგილისის შინაგან ციხეში ექიმმა შარი მომდო, კგილი გტკივაო. ჩამიყვანეს. დამსვეს, ქათქათა წინსაფრით შემმოსეს და გამომძიეგელიც შემოგრძანდა – არტაშეს მიხაილოვიჩ თუ გრიგორიჩ მარქაროვი! ექიმმა გაზი მოიმარჯვა, ფესვეგიანი კგილეგის დაძროგა დამიწყო, რა თქმა უნდა, უნარკოზოდ. ამ „მკურნალოგის“ დროს მაიორი მარქაროვი მიამიტად, გადაჭარგეგული ზრდილოგით მეკითხეგოდა, – წინა ჩვენეგეგზე დასამატეგელი ხომ არაფერი გაქვთო?“

რომანის გოლოს მწერლის მეულლის თამარ ჯავახიშვილის მიერ შედგენილ დამატეგეგში მითითეგულია: „არტაშეს მარქარიანი – ყოფილი ჯიგგირი. ომის დროს და შემდეგ წლეგში საქართველოს უშიშროეგის სამინისტროს საგამოძიეგო სამმართველოს უფროსის (ჯერ – გუჯაგიძის, შემდეგ – მანიასძ პირველი მოადგილე. აღწერილი ამგავი პირადად გადახდა ავტორს თგილისის უშიშროეგის სამინისტროს შინაგან ციხეში. ავტორი მაშინ 22 წლის ჭაგუკი იყო“.

* * *

IV განყოფილეგის უფროსის გოგდან (გაღჩოძ ძოგულოვის მოადგილე, უფროსი ლეიტენანტი სერგო სიმონის ძე დავლიანიძე მაშინ 33 წლის კაცი იყო. პირადად მონაწილეოგდა პატიმრეგის წამეგაში, რათა „ალიარეგა“ გამოეგლიჯა. გერიასთან დაახლოეგული ჩეკისტი სწრაფად მიიწევდა სამსახურეგრივ კიბეზე. შემონახულია მისი სამადლოგელი წერილი ლავრენტისადმი, რომელიც ავქსენტი რაფავას (იმ დროს საქართველოს სახელმწიფო უშიშროეგის შეფისძ დასმენაც არის: რაფავა იმიტომ არის ჩემს მიმართ ცუდად განწყოგილი, რომ იცის „პირადად თქვენი ყურადღეგა ჩემს მიმართ, რომელიც გამოიხატეგა ჩემს თანამდეგოგრივ წინსვლაში: საქართველოს შინსახკომის საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილეგის უფროსის მოადგილე – 1937 წ.; საქართველოს შინსახკომის კონტრდაზვერვის განყოფილეგის უფროსი – 1938 წ.; ამიერკავკასიის რკინიგზის სახელმწიფო უშიშროეგის ტრანსპორტის განყოფილეგის უფროსი – 1939 წ.; საქართველოს სახუშიშროეგის კომისრის მოადგილე – 1944 წ.; ჩემი წარდგინეგა გენერალ-მაიორის წოდეგაზე და პირადი საპასუხისმგეგლო დავალეგეგი ქართველ კონტრრევოლუციონერეგთან გრძოლაში 20 წლის მანძილზე.

ამ გარემოეგამ, აგრეთვე მასთან საერთო ძმაგიჭური ენის უქონლოგამ, რაფავა იმ აზრამდე მიიყვანა, რომ „მე მისთვის საშიში კაცი ვარ“.

ალეკო ასლანიშვილი

(გაგრძელეგა იქნეგაძ

გაგრძელეგა. დასაწყისი იხ. „სრ“ № 164.

◎ ინფორმაცია

ბოევიკის ლიკვიდაციას ორი პოლიციელი შეეწირა

გროზნოში ერთი ბოევიკის ლიკვიდაციის სპეცოპერაციას მილიციის ორი თანამშრომელი ემსხვერპლა.

ამასთან, როგორც ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა რუსლან ალხანოვმა „რიანოვოსტის“ განუცხადა, სპეცოპერაციის დროს სამართალდამცავეგმა გაანადგურეს ე.წ. ემირი რუსტამ გასაევი, რომელიც მილიციის თანამშრომელთა და მშვიდოგიანი მოსახლეოგის მრავალრიცხოვანი მკვლელოგეგის მონაწილეა.

„სპეცოპერაცია გროზნოს ლენინსკოეს რაიონში, ერთ-ერთ საცხოვრეგელ სახლში ჩატარდა. გასაევმა სამართალდამცავეგს შეიარაღეგული წინააღმდეგოგა გაუწია, რის შემდეგაც მისი ლიკვიდაცია განხორციელდა“, – აღნიშნა ალხანოვმა.

მისივე თქმით, გასაევს აღმოაჩნდა პისტოლეტი, რომლითაც მხოლოდ გოლო პერიოდში ჩეჩნეთის შს სამინისტროს სამი თანამშრომელი, სპეცრაზმის ერთი წევრი და ინგუშეთის რამდენიმე მშვიდოგიანი მოსახლეა მოკლული.

ალხანოვის ინფორმაციით, რუსტამ გასაევი გროზნოში რამდენიმეხნის წინათ უჭრაინიდან დაგრუნდა, სადაც მკურნალოგის კურსს გადიოდა. იგი გოევიკეგის ერთ-ერთი ლიდერის დოკუ უმაროვის თანამეგრძოლი იყო.

რატომ გადადგეგა ლევან ნიკოლეიშვილი

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან ნიკოლეიშვილმა თანამდეგოგიდან გადადგომის შესახეგ განცხადეგა დაწერა.

2. ქ.თბილისის № 196 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 4,432 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 145 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 250 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

3. ქ.თბილისის № 22 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 5 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 145 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 250 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

4. ქ.თბილისის № 175 საჯარო სკოლისშენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 5 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 145 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 250 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

5. ქ.თბილისის № 139 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 6,619 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 145 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 300 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

6. ქ.თბილისის № 67 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის სავარაუდო წონაა 0,62 ტონა (მ.შ. შავი ლითონი 0,5 ტ. თუნუქის 0,12 ტ.ქ.1 ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 145 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, 1 ტონა თუნუქის ღირებულება შეადგენს 85 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე შეადგენს 15 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში (მ.შ. ყოველ 1 ტ. შავ ლითონზე 1 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, ყოველ 1 ტ. თუნუქზე 5 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებშიქ, „ბე“ 2 0 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

7. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 2,44 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 145 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 100 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განსაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

8. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის სავარაუდო წონაა 0,26 ტონა. 0,26 ტონა ჯართის ღირებულება შეადგენს 30 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა ჯართზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 5 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

9. ქ.თბილისის № 126 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 5 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 145 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 300 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.ქ

10. ქ.თბილისის № 63 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 6 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 145 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 300 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

ჯართის საბოლოო დაზუსტებული წონა განისაზღვრება აუქციონში გამარჯვებულის და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

აუქციონში გამარჯვებულმა უზრუნველყოს თავისი ხარჯებით ჯართის დამუშავება და გატანა.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონის შედეგების დამტკიცების შესახებ „გამყიდველის“ გადაწყვეტილების მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოშიქ.

ბ. „ბე“-ს და ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები (ასლებითქ.

გ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

დ. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს.

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ჯართის საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 9.11.06 წ. № 16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 27 აგვისტოდან 25 სექტემბრის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველი სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 25 სექტემბერს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალურიქ, ანგარიში: 200122900, ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი **გ.ტაბიძის ქ.№ 4, მე-4 სართული, ტ: 99-53-72.**

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2007 წლის 22 აგვისტოს № 30 (529ქ-ში.

---

24 აგვისტო 2007 წელი

განცხადება

სატენდერო შეთავაზება სს „ეკრანის“ აქციათა სამართლიან ფასად ყიდვის თაობაზე

სატენდერო შეთავაზებით სს „ეკრანის“ აქციათა სამართლიან ფასად შეძენისათვის „გამოსყიდვის საღრიცხვო თარიღად“ დადგენილია 2007 წლის 25 ოქტომბერი, რომლის მდგომარეობითაც არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან მოხდება მყივდელის მიერ აქციათა გამოსყიდვა.

გამოსყიდვის პირობები და პროცედურები:

•მყიდველი ფლობს სს „ეკრანი“-ს გამოშვებულ 626205 ცალ ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს საწესდებო კაპიტალის 75.07%-ს და შემთავაზებულს სურს გამოისყიდოს 207940 ცალი ჩვეულებრივი აქცია, რომელიც არის საწესდებო კაპიტალის 24.93%.

•სს „ეკრანის“ აქციების შესყიდვის თანხა შეადგენს ერთი ცალი აქციისთვის 1.77 (ერთი ლარი და 77 თეთრიქ ლარს;

•სატენდერო შეთავაზება გრძელდება 2007 წლის 24 აგვისტოდან 2007 წლის 25 ოქტომბრამდე;

•სატენდერო შეთავაზების რომელიმე პირობის შეცვლის შემთხვევაში გაკეთდება შეთავაზების განცხადების განახლებული ვერსია და დადგენილი წესით გავრცელდება;

•შესყიდვა მოხდება სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ;

•სს „ეკრანის“ აქციონერთაგან გაყიდვაზე განაცხადების შეგროვებას განახორციელებს შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი +“ (ლიცენზიის ნომერი №20045ქ მისამართი: ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ.№24 ტელ.: 914-999;

•სს „ეკრანის“ 24.93%-ის 207940 აქციის გაყიდვაზე თანხმობების სრული რაოდენობის არსებობის შემთხვევაში (თუ ყველა აქციონერი თანახმაა გაყიდვაზექ შემთავაზებელი გამოისყიდის აქციათა მთელ რაოდენობას.

აქციონერებს საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 53 ² მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოსყიდვის ანგარიშის გაცნობა შეუძლიათ დამოუკიდებელ რეგისტრატორში – შპს „რეგისტრი“ (ლიცენზიის ნომერი 70001ქ შემდეგ მისამართზე **ქ. თბილისი, ჟავჟავაძის გამზირი 74 ², ტელ 23-01-09 და საბროკერო კომპანიაში – შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი +“ (ლიცენზიის ნომერი 20045ქ შემდეგ მისამართზე: თბილისი, მოსაშვილის ქ. №24, ტელ: 914-999.**

მყიდველი: შპს „აქცია XXI“
დირექტორი გიორგი გაღაშვილი

სააქციო საზოგადოება „ტრანსვესტინჟინერინგი-12“-ის აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ

განცხადება

სააქციო საზოგადოება „ტრანსვესტინჟინერინგი-12“-ის სამეთვალყურეო საბჭო იწვევს აქციონერებს რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2007 წლის 17 სექტემბერს 13 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას №58.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში;
2. წესდების ახალი რედაქციის მიღების შესახებ;
3. სხვადასხვა.

სამეთვალყურეო საბჭო

გადასახედი

● **სანახაობრივად მიმზიდველი აღმოჩნდა სექტემბრის შეხვედრები უკრაინულ გუნდებთან – კიევის „დინამოსთან“ (2:2ძ და ხარკოვის „სპარტაკთან“ (7:1ძ კვლავ პაიჭაძის „ჰეთ-თრიკით“**

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

კითხვა: 3 თვის წინათ გარდამეცვალა მამა. მინდა, გადავიფორმო მისი კუთვნილი ბინა და სხვა ქონება. ვარ I რიგის ერთადერთი მემკვიდრე. თუ შეიძლება, განმიმარტეთ, ვის მივმართო ქონების გასაფორმებლად?

თორნიკე ჯაჭვაძე

პასუხი: სამკვიდრო ქონების გაფორმების თაობაზე, გირჩევთ დაუყოვნებლივ მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 6 თვისა მიმართოთ ნოტარიუსს სამკვიდროს ადგილმდებარეობის მიხედვით.

* * *

კითხვა: ვარ 23 წლის, ერთი წლის წინათ მუშაობა დავიწყე საჯარო სამართლის იურიდიულ პირ სახელმწიფო დაწესებულებაში. შევქმენი ოჯახი. გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენდღიანი ანაზღაურებადი შვებულება მეკუთვნის?

თინა ჯულაყიძე

პასუხი: ანაზღაურებადი შვებულება გეკუთვნით 24 სამუშაო დღის ხანგრძლივობით. გარდა ამისა, კანონის თანახმად, უფლება გაქვთ, ისარგებლოთ უხელფასო შვებულებით არანაკლებ 15 დღისა, რის შესახებაც ორი კვირით ადრე უნდა მიმართოთ თქვენი დაწესებულების ადმინისტრაციას.

* * *

კითხვა: ვარ II მსოფლიო ომის I ჯგუფის ინვალიდი. მალე 90 წლის შევსრულდები. მივეკუთვნები რიგითთა შემადგენლობას, სამხედრო წოდება არ გამაჩნია. გთხოვთ, მაცნობოთ, პენსია რამდენი ლარის ოდენობით უნდა მეძლეოდეს?

კაპიტონ ჯიქია

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, თქვენ პენსიას უნდა ილებდეთ თვეში 48 ლარის ოდენობით.

* * *

კითხვა: ვარ 22 წლის, მიმდინარე წელს ფრიადებზე დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დიდი სურვილი მაქვს, გავხდე სახელმწიფო მოხელე. რა არის ამისთვის საჭირო?

თამთა ჯიბლაძე

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნაუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

* * *

კითხვა: ჩემი მეუღლე რეპრესირებული და შემდგომში რეაბილიტირებული პირის შვილია, იღებს პენსიას მამის გარდაცვალების შემდეგ თვეში 45 ლარის ოდენობით. იშოვა სამუშაო სახელმწიფო დაწესებულებაში. ხომ მიეცემა პენსია მუშაობის პერიოდში?

ავთანდილ ჯღუნიაშვილი

პასუხი: სამწუხაროდ, არ მიეცემა. მოქმედი საპენსიო კანონი რეპრესირებულებს ან მათ შრომისუნარო შვილებს აღარ აძლევს მუშაობის პერიოდში პენსიის მიღების უფლებას, თუ ისინი ისეთ დაწესებულებაში იმუშავებენ, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

* * *

კითხვა: ვარ 65 წლის, დანიშნული მაქვს პენსია თვეში 48 ლარის ოდენობით. მოვყევი საავტომობილო კატასტროფაში, რის შედეგადაც ერთი თვეა, სამედიცინო კომისიამ მცნო I ჯგუფის ინვალიდად. მომეცემა ინვალიდობის პენსიაც?

ჯონდო ჯუღელი

პასუხი: არ მოგეცემათ, ვინაიდან ორის სახის პენსიის დანიშვნას მოქმედი საპენსიო კანონი არ ითვალისწინებს.

* * *

კითხვა: ვარ 9 აპრილს მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებული პირი, 2007 წლის 1 იანვრამდე ვსარგებლობდი შელავათით ყველა სახის გადასახადის გადახდის დროს. ამჟამად მხოლოდ 22 ლარს მიხდიან, რაც მარტო ელექტროენერგიის გადასახადსაც ვერ ფარავს. გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის ყოველთვიურად 44 ლარი?

მამუკა კაციტაძე

პასუხი: ყოველთვიურად 44 ლარი არ გეკუთვნით, 22 ლარი ამჟამად მოქმედი კანონის თანახმად, სწორად გეძლევათ.

* * *

კითხვა: ვარ 9 აპრილის მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაინვალიდებული პირი. ადრე გათავისუფლებული ვიყავი ელექტროენერგიის გადასახადისგან. ახლა ყველა გადასახადის დასაფარავად სულ 44 ლარს მიხდიან, რაც ზამთრის თვეებში სინათლის გადასახადისთვისაც კი არ მყოფნის. გთხოვთ, გაგვაგებინოთ, გაუქმდა თუ არა კანონი შელავათის შესახებ (სუბსიდიასთან დაკავშირებით, რომელიც ელექტროენერგიის გადასახადისაგან გვათავისუფლებდა?

ვასიკო გიორგაძე

პასუხი: საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებაში, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის შემოღებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალა „ელექტროენერგიის შელავათებით მოსარგებლე მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის კომპენსაციის წესისა და პრინციპების დამტკიცების თაობაზე“. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 9 აპრილის №44-ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართი, რომელშიც მითითებული იყო, შელავათით მოსარგებლე კატეგორიას, მხოლოდ ელექტროენერგიის გადასახადის დასაფარავად, კონკრეტულად თვეში რამდენი ლარი ეკუთვნოდა.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.

◎ რაც დავიწყებით არ იბინდება

გულშემატკივრის მოგონებები, ანუ ქართული ფეხბურთი ჩემს ცნობიერებაში

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲒᲐᲒᲣᲐ

მოსკოვის საფეხბურთო სამყარომ კი ჯეჯელავა „ალმოაჩინა“ 14 ივლისს ადგილობრივ „ტორპედოსთან“ მატჩში (3:3ძ. პრესამ მის თამაშს უმაღლესი შეფასება მისცა, „თვალშეუვლები და მოუხელთებელი“ უწოდა. შემთხვევითი არ იყო, რომ იმ წელს პირველად შედგენილ საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში დებიუტანტი გიოზ ჯეჯელავა №1-ად იყო დასახელებული მარჯვენა გარემარგის ადგილზე (!ძ, თუმცა თავისი საუკეთესო სეზონები – 1939-1940 მას ჯერ კიდევ წინ ჰქონდა.

ახლა კი, 1938 წელს თბილისში ჩატარებული ყველაზე დასამახსოვრებელი შეხვედრების შესახებ. ასეთი უდავოდ იყო, მაგალითად, მატჩი მოსკოვის „დინამოსთან“ (30 მაისიძ, რომელიც ჩვენმა გუნდმა ჩინებულად წარმართა და დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე 2:0 იგებდა (მ. ბერძენიშვილისა და ვ.ბერეჟნოის გოლებიძ. სამწუხაროდ, დარჩენილ დროში ეს უპირატესობა ქარს გავატანეთ (2:2ძ. მაშინ პირველად გავიგონე ტრიბუნაზე ვილაცის მიერ გაჯავრებით ნათქვამი: „ასე ვიცით ქართველებმაო“, რაც ძალიან მომხვდა გულს.

სანახაობრივად მიმზიდველი აღმოჩნდა სექტემბრის შეხვედრები უკრაინულ გუნდებთან – კიევის „დინამოსთან“ (2:2ძ და ხარკოვის „სპარტაკთან“ (7:1ძ კვლავ პაიჭაძის „ჰეთ-თრიკით“.

სამწუხაროდ, მაქვს ერთი მწარე მოგონება: სასტიკი დამარცხება – 1:6 მოსკოვის „სპარტაკთან“. ის შეხვედრა დღემდე კოშმარივით მაგონდება. პატარა ბიჭი ცრემლებს ვერ ვიკავებდი. პროტესტის ნიშნად რამდენიმე მოედევნო თამაში გამოვტოვე და მხოლოდ ბოლო ორს დავესწარი.

ერთი მათგანი იყო თბილისის „ლოკომოტივთან“ (4:1 „დინამოს“ სასარგებლოდძ, რომელმაც იმ ჩემპიონატში 24-ე ადგილი დაიკავა (26 გუნდს შორისძ და ფინალური, მართლაცდა დაუვიწყარი თამაში მოსკოვის „მეტალურგთან“ (6 სექტემბერიძ, რომელზეც უფრო დაწვრილებით შევჩერდები.

ეს იყო ჩემპიონატის ბოლო შეხვედრა. იმ მოვენტისთვის მოსკოვის „სპარტაკს“, რომელსაც ჩემპიონატი უკვე დამთავრებული ჰქონდა, 39 ქულა დაუგროვდა და პირველ ადგილზე იმყოფებოდა.

მას ორი ქულით ჩამორჩებოდა მოსკოვის „მეტალურგი“, რომელსაც ერთი შეხვედრა ჰქონდა დარჩენილი თბილისში. გამარჯვების შემთხვევაში იგი „სპარტაკს“ დაეწეოდა და მათ შორის დამატებითი შეხვედრა გაიმართებოდა.



ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ქულები სჭირდებოდა ჩვენ გუნდსაც, რადგან წაგების შემთხვევაში იგი, შესაძლოა, მე-11 ადგილზე აღმოჩენილიყო.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დრამატული შეხვედრა, რომელიც ოდესმე მინახავს. მეორე ტაიმის მე-20 წუთამდე ვაგებდით 0:2 (მეორე გოლი ცნობილმა ს.კაპელკინმა გაგვიტანა პენალტითძ, მაგრამ დარჩენილ დროში, მიშა ბერძენიშვილის სამი(!ძ გოლის წყალობით გავიმარჯვეთ! მან ჯერ ოსტატურად გამოიყენა ორი 11-მეტრიანი და შემდეგ, თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ძნელი მდგომარეობიდან შემოტრიალებით, მარცხენა ფეხით 20 მეტრის მანძილიდან აუღებელი გურთი გაგზავნა სამხრეთის კარში, რომელსაც ცნობილი მეკარე ბორის ნაგოკოვი იცავდა.

„თამაშის შემდეგ, გასახდელში მთელი გუნდი ვტიროდითო“, იგონებდა იგი შემდგომ.

რამდენიმე სიტყვა ამ თამაშის მთავარ გმირზე მიხეილ ბერძენიშვილზე (1914-1981ძ. ეს იყო დაუღალავი, მაღალი ტექნიკისა და უძლიერესი, როგორც მაშინ იტყოდნენ, ყუმბარისებური დარტყმის მქონე ფეხბურთელი. ამავე დროს, ძალზე კორექტული, ინტელიგენტური სტილის მოთამაშე, 1939 წლამდე – შემდეგიანი თავდამსხმელი (მარჯვენა შუამარბიძ, შემდეგ კი – ნახევარმცველი. იგი მაღალი სპორტული ავტორიტეტით სარგებლობდა, მის შესახებ მუდამ პატივისცემით წერდნენ თბილისელი და მოსკოველი ჟურნალისტები, ფეხბურთის სპეციალისტები.

მაგონდება, როდესაც 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ საბჭოთა ნაკრების მწვრთნელს ნ. მოროზოვს ჰკითხეს, თუ როგორი ნაკრების წაყვანას ისურვებდა იგი ინგლისის ჩემპიონატზე. მან დაასახელა საბჭოთა ფეხბურთის ყველა დროის იდეალური ნაკრების თავისი ვარიანტი და მასში ერთ-ერთ ნახევარმცველად მ. ბერძენიშვილი შეიყვანა...

1938 წლის ჩემპიონატი დამთავრდა. წინ გველოდა 1939 და 1940 წლის ჩემპიონატები, რომლებმაც თბილისის „დინამოს“ პრესტიჟი მანამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანა.

გულბათ ტორაძე

მეგობრული შარჟები ამოღებულია დემიკო ლოლაძის წიგნიდან „ფეხბურთი ნახატებსა და შარჟებში“.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 162-164.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“ **899 32-85-76; 98-65-87**

სპორტი

● **დღეს 19 საათზე საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის (B დივიზიონიძ შესარჩევ მატჩში ავსტრიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს**

◎ ორბიტაზე

მატერაციმ სიმართლე თქვა!

„ზიდანის დას მე ბოზი ვუწოდე!“ – იტალიელმა მცველმა მარკო მატერაციმ ბოლოს და ბოლოს გაამჟღავნა, თუ რა სიტყვების გამო დაარტყა ფრანგების კაპიტანმა გერდში თავი.

წელიწადზე მეტი გავიდა იმ ღირსსახსოვარი დღის შემდეგ, როდესაც გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ესენციდენტი მოხდა. მაშინ ზინედინ ზიდანი მინდვრიდან გააძევეს, ფრანგები ჩემპიონები ვერ გახდნენ. მათი ნაკრების კაპიტანი – კი სამუდამოდ წავიდა დიდი ფეხბურთიდან.

მას შემდეგ მატერაციმ წიგნიც კი გამოსცა, რომელშიც მოტანილია 280 ვარიანტი იმ შესაძლო ფრაზისა, რომელმაც ზიდანის რისხვა გამოიწვია. თუმცა აქამდე გაურკვეველი დარჩა მისი ნამდვილი შინაარსი.

სადღეისოდ კი მარკოს საბოლოო ვერსია ასეთია – ის მატჩის დროს გამუდმეებით ეჭიდებოდა ზიდანს მაისურზე, რის გამოც ფრანგს უთქვამს – თუკი ჩემი მაისური მოგწონს, მატჩის შემდეგ გაჩუქებო. რაზეც მატერაციმ უპასუხია, „მე შენ ბოზ დას ვამჯობინებდიო!“

სასჯელები გავამკაცროთ

ამას მოითხოვს მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაცია (IAAF)-ძ. მან მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტოს მოსთხოვა დოპინგის მიღებისთვის სასჯელების გამკაცრება. მაგალითად, სერიოზული დარღვევისთვის დისკვალიფიკაციის ვადა 2-დან 4 წლამდე გაზარდონ.

ფედერაციის აზრით, სასჯელების გამკაცრება ეფექტიანი იარაღი იქნება დოპინგთან საბრძოლველად, როგორც, საერთოდ სპორტში, ისე მძლეოსნობაში.

მოხერხებული ელენა

ხანგრძლივი როდი გამოდგა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იტალიელი მოდელის ელენა ბაროლოსა და მისი საყვარელი კლუბის „ტორინოს“ თავდამსხმელის რობერტო სტელონეს (სტალონე არ გეგონოთ! სასიყვარულო ურთიერთობა.

ელენა წამდაუწუმ აცხადებდა, რომ მიაგნო იდეალურ მამაკაცს, ხოლო თავგადახოტრილი ფეხბურთელი არ მალავდა, რომ გაგიჟებით იყო შეყვარებული თავის ახალ გულის ვარდზე. ყვითელი პრესა კი მათ მოახლოვებულ ქორწილზე ალაპარაკდა.

თუმცა რობერტომ ისეთ მამაკაცად ვერ ივარგა, ელენა ადრე რომ ხვდებოდა, თუნდაც ფილიპო ინძაგი, მის ბადეში რომ გაეგა. სტელონე მას როგორ გაუტოლდებოდა, წელიწადში ძლივს გატანილი 5-6 გოლით, რაც ლამაზმანს სასაცილოდ არ ყოფნიდა.

რადგან რობერტო თავის ღირსეულ გოიფრენდად ვერ მიიჩნია, ელენამ იეზუიტური ნომერი მოიგონა – თავის დაქალს ჯორჯიო პალმასს (ფოტოზეძ სთხოვა ჩარევა და ფეხბურთელის შეცდენა, ანუ მისთვის ღალატის პროვოცირება, რითაც ლამაზმანმა ორი კურდღლის დაჭერა მოინდომა.

◎ კალათბურთი

ვუქომაგოთ ეროვნულ ნაკრებს!

დღეს 19 საათზე საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის (B დივიზიონიძ შესარჩევ მატჩში ავსტრიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს.

განახლებულ სპორტის სასახლეში მოვარჯიშე ჩვენი მოთამაშეებიც და მწვრთნელებიც კმაყოფილი არიან ევროპული სტანდარტების შესაბამისი დარგაზით, მონდომებით ემზადებიან პასუხსაგები ორთაბრძოლებისთვის და გულშემატკივრებს გამარჯვებებს ჰპირდებიან. სიტყვაძუნწობს გუნდის კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი – ფინელებთან შეხვედრამდე ავსტრიელთა და ისლანდიელთა დამარცხება გვმართებსო. გასაგებია მისი სიფრთხილე. შარშან ხომ ავსტრიელებთან გასვლითი მატჩი კინაღამ წაგებული – მხოლოდ ბოლო წამებზე ვაჯობებთ მასპინძლებს.

უფრო ოპტიმისტურადაა განწყობილი კენ შილდსი, ნაკრების მთავარი მწვრთნელი, რომლის ხელმძღვანელობითაც ერთი თვის განმავლობაში ჩვენმა გუნდმა რამდენიმე ამხანაგური პაექრობა გამართა, ზოგიერთი – საკმაოდ კარგადაც, თან ლუქსემბურგელებს ოფიციალურ შეხვედრაში დიდი ანგარიშით სძლია...

ვარჯიშებისას შევატყვეთ, რომ შილდსი ავსტრიელთა წინააღმდეგ სასტარტო ხუთეულში სათამაშოდ გიორგი ცინცაძეს, ტაირონ ელისს, მანუჩარ მარკოიშვილს, ვიქტორ სანიკიძეს და ზაზა ფაჩულიას ამზადებს. რაც შეეხება ნიკა ცქიტიშვილს, მან ნაკრების შეკრებაზე სხვადასხვა მიზეზის გამო დაგვიანა, ამიტომ ეროვნულ ნაკრებს მხოლოდ ფლეი ოფებისას (იმედია, გავალთქთუ შეეშველება.

ქართველთა დღევანდელი მეტოქე ავსტრიელები თბილისში გუშინწინ ასეთი შემადგენლობით ჩამოვიდნენ: კრისტიან კოლიკი, ტომას შრაინერი, რიხარდ პოიგერი, ბენჯამინ ორტნერი, პეტერ ჰიუტერი, არმინ ვოშანკი, მარტინ კოლმაიერი, ჰაინც კიუგერლი, დავორ ლამეშიჩი, ფლორიან შონინგერი, მატიას მაიერი, მთავარი მწვრთნელი ჰიუბერტ შრაინერი, ასისტენტი – ზორან კოსტიჩი. სტუმრებმა სპორტის სასახლის სარგიელი მოსინჯეს. რომ შეიტყვეს, ორთაბრძოლას 8-10 ათასი გულშემატკივარი დაესწრებაო, შრაინერმა ჯერ მხრები აიჩეჩა, შემდეგ ღიმილით დასძინა – ლამაზ კალათბურთს შემოგთავაზებთ, ასე რომ, მაყურებლები მატჩზე მოსვლას არ ინანებენო.

ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ განახლებული სპორტის სასახლის ტრიბუნები დღეს პირთამდე შეივსება და ჩვეული შემართებით ვუქომაგებთ ეროვნულ ნაკრებს.

ლექსო ცინცაძე

სურათებზე: საქართველოს ნაკრების ვარჯიშის მომენტები.
ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.

◎ ფეხბურთი

აქეთური, იქეთური

დანავსული კვირა მცირედით ქართველმა ჭაბუკებმა შეალამაზეს. ლატვიის საკურორტო ქალაქ პალანგაში დასრულებულ 17-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირის ფინიშზე ჰერბერტ ცანკერის გაწვრთნილმა „ჯვაროსნებმა“ ლიტველებს სძლიეს 3:0 და V ადგილი დაიკავეს. ბალტიისპირელთა კარში გოლები შეყილაძემ (2ძ და ძალამიძემ გაიტანეს. ჩვენმა თანამემამულეებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: მეფარიძე, მირცხულავა, რიგვავა, მეგრელიშვილი, შონია, გუგუჩია, მელიქიშვილი, ძალამიძე, შეყილაძე, ხურციძე (ვაშაკიძეძ, ანანიძე (მამულაძეძ.

* * *

დღეს საქართველოს სტადიონებზე XIX ეროვნული ჩემპიონატის III ტურის რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართება (დასაწყისი 17 საათსა და 30 წუთზეძ. მათ შემდეგი მსაჯები მოემსახურებიან: „ოლიმპი“ – „ამერი“. დავით ხარიტონაშვილი. „ზესტაფონი“ – „მგლეები“. ლევან ფანიაშვილი. „ბორჯომი“ – „დინამო“. გიორგი ვადაჭკორია.

◎ ჩოგბურთი

გამარჯვებით დაიწყო

„ფლეშინგ მედოუს“ კორტებზე დაიწყო ამერიკის ღია პირველობა, რომლის საკვალიფიკაციო ჯგუფში თბილისელი მაკა ჩახნაშვილიც გამოდის. ქართველმა ჩოგბურთელმა პირველ წრეში იტალიელ ნატალი ვიერინის სძლია 4:6, 7:6, 6:4, არადა, მეორე ხელს 1:5-ს აგებდა და ამ უიმედო მდგომარეობიდან შეძლო მატჩის ბედის შემობრუნება.

მეორე წრეში ჩახნაშვილი მე-9 ნომრად განთესილ ფრანგს – იულია ფედოსოვას შეხვდება.

◎ SOS!

„ალ-ყაიდა“ ფეხბურთელებსაც უმიზნებს

სახელმწიფო მეთაურებისადმი, დიდი პოლიტიკოსებისა და სამხედროების, ასევე „ურწმუნო“ მუსულმანების მიმართ ისლამისტების მუქარა ცნობილია. ახლა „ალ-ყაიდამ“ ბოევიკების სამიზნედ ახალგაზრდობის კერპები, მათ შორის, ფეხბურთელებიც აირჩია.

გლაზგოში (შოტლანდიაძ „ალ-ყაიდასთან“ დაკავშირებულ ერთ-ერთ საიტზე გამოჩნდნენ დევიდ ბექჰემი, ტიერი ანრი, უეინ რიუნი, აგრეთვე მომღერლები ჯასტინ ტიმბერლეიკი და პი დიდდი. როგორც ბრიტანული News of the World წერს, ეს ბოროტი კადრები ახალგაზრდა მუსულმანებს მოუწოდებს თავიანთ გატაცებაზე ჩაფიქრებას.

„რა გინდა ხელმოცარულთა შორის?“ – კითხულობს კლიპის ავტორი ბექჰემის ფონზე, „რატომ გიყვარს ბორტმოძმედები?“ – უკვირდა, როცა ინგლისის ნაკრების თავდამსხმელ რუნის აჩვენებდნენ. „რატომ ბაძავ თავშეუკავებელ ადამიანებს?“ – კლიპმეიკერები კითხულობენ ანრის კადრების მიღმა. არც მომღერლებს ტოვებენ გაულანძღავს.

მკვლელობების პირდაპირ მოწოდების ნაცვლად, ისლამისტები აჩვენებენ მოკლულთა სხეულებსა და სასაფლაოებს ორაზროვანი კომენტარებით, ხოლო მუსიკალური თანხლებისთვის იყენებენ რადიკალურ ღვთისმეტყველთა გამოსვლების ფრაგმენტებს, ლონდონის ავტობუსებში შარშანდელ აფეთქებებთან რომ ჰქონდა კავშირი. როგორც ჩანს, უჭირთ იმ მოზარდების გადაბირება, დასავლურ კულტურას რომ ეზიარნენ, ამიტომ ახალ რადიკალურ გზებს ეძებენ.

სულიათანა

● *ჩვენთვის თქვენ როგორ არა ხართ,*
ჩვენ ალარა ვართ თქვენთვის!

ხსოვნა

თეიმურაზ ჭანიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი თეიმურაზ ჭანიშვილი.

აკადემიკოსი თ.ჭანიშვილი დაიბადა 1924 წელს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. 1941 წელს დაამთავრა თბილისის მე-18 საშ. სკოლა.

1941-44 წლებში იგი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, სამკურნალო ფაკულტეტზე. 1945 წელს თ. ჭანიშვილმა დაიწყო მუშაობა თბილისის ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტში, სადაც მან თითქმის 60 წელი იმუშავა და განვლო გზა ექიმ-ბაქტერიოლოგობიდან ინსტიტუტის დირექტორობამდე.

1954 წ. მან დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1970 წელს სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მიეძღვნა ბაქტერიოფაგების ბიოლოგიის ფუნდამენტალურ ასპექტებს. ნაშრომმა ჰპოვა აღიარება როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ჯერ 1952-55 და შემდეგ 1958-60 წლებში თ. ჭანიშვილი ხელმძღვანელობდა ბაქტერიოფაგების კვლევის განყოფილებას, ხოლო 1955-1958 წლებში იგი იყო თბილისის ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე წარმოების დარგში, 1960-97 წლებში დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

1997 წლიდან – 2006 წლამდე აკადემიკოსი თეიმურაზ ჭანიშვილი ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ელიავას სახ. ბაქტერიოფაგების, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტს. იგი უკანასკნელ დღემდე ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას, როგორც ინსტიტუტის სამეცნიერო კონსულტანტი.

აკადემიკოსი თეიმურაზ ჭანიშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა.

1948-50 წლებში იგი მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრაზე ასისტენტად.

1970 წელს მან დაუფლა ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის კათედრა, რომელსაც 1975 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1975-2003 წლებში იგი თსუ მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის კათედრის პროფესორია და დიდი წვლილი შეიტანა სტუდენტების სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის დარგში.

1979 წელს იგი იყო არჩეული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და აქტიურად მონაწილეობდა ბიოლოგიის განყოფილების საქმიანობაში.

1993 წელს ბატონი თეიმურაზი აირჩიეს საქ. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

აკადემიკოს თეიმურაზ ჭანიშვილის სამეცნიერო ინტერესი მხოლოდ ბაქტერიოფაგების კვლევის ფუნდამენტური ასპექტებით არ შემოიფარგლებოდა, იგი წარმატებით ახორციელებდა მათ პრაქტიკულ გამოყენებასაც ყოფილ საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთაც. აკადემიკოს ჭანიშვილს გამოქვეყნებული აქვს 300-მდე პუბლიკაცია.

თ. ჭანიშვილი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეს“, „მაცნეს“ და საკავშირო ჟურნალ „მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია და ეპიდემიოლოგიას“ სარედაქციო საბჭოს წევრი. წლების განმავლობაში, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე აკად. თ.ჭანიშვილი ხელმძღვანელობდა საქართველოს გენეტიკოსთა და სელექციონერთა საზოგადოებას.

აკადემიკოს თეიმურაზ ჭანიშვილის, საქართველოს რესპუბლიკის ღირსების ორდენის კავალერის, მრავალი უცხოური პრემიის ლაურეატის, სამშობლოზე უანგაროდ შეყვარებული ადამიანის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მოსწავლეების, კოლეგებისა და მეგობრების მეხსიერებაში.

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია;
გ. ელიავას სახ. ბაქტერიოფაგების, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

თინათინ ნიჟარაძე

ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გინეკოლოგიური კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი, ონკო-გინეკოლოგი, გამოცდილი სპეციალისტი თინათინ ნიჟარაძე.

თინათინ ნიჟარაძე დაიბადა 1924 წელს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. 1947 წ. წარმატებით დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და მას შემდეგ 2001 წლამდე მუშაობდა ონკო-გინეკოლოგიური განხრით.

იგი იყო შესანიშნავი ექიმი, კვალიფიციური მუშაკი, მას უდიდეს პატივს სცემდნენ მისი კოლეგები და თანამშრომლები; პაციენტებში სარგებლობდა დიდი სიყვარულით, რადგან იყო დაუზარელი, ყურადღებიანი მკურნალი და თავმდაბალი ადამიანი. ქალბატონი თინათინი აქტიურად მონაწილეობდა ონკოცენტრის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ახალგაზრდებს ხალისით უზიარებდა თავის გამოცდილებას.

იგი იყო შესანიშნავი მეუღლე, დედა, ბებია.

ონკოცენტრის გინეკოლოგიური განყოფილების თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

პროფ. ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის
ნაციონალური ცენტრის გინეკოლოგიური
კლინიკის თანამშრომლები.

ანდრო მაჭარაშვილი

კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება, ჩვენი თაობის სასახელო ადამიანი დაგვაკლდა ჩვენს ქვეყანას. იგი გამოირჩეოდა დიდგუნებოვნებით, კეთილშობილებით, ზნეობით, პროფესიონალიზმითა და ორგანიზატორული ნიჭით.

ანდრო სიმონის ძე მაჭარაშვილი დაიბადა 1927 წელს საჩხერის რაიონის სოფელ კორგოულში, ერთ-ერთ ქართულ ტრადიციულ ოჯახში.

ქალაქ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ მუშაობდა თავის მშობლიურ სოფელში 1957 წლამდე №1 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, შემდეგ 14 წლის მანძილზე №2 საშუალო სკოლის დირექტორად, ხოლო 1972 წლიდან პენსიაში გასვლამდე კვლავ №1 საშუალო სკოლას ხელმძღვანელობდა.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ის გასაოცარი თანაგრძნობით ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს; იყო გულისხმიერი მეოჯახე, მოსიყვარულე მამა და სამშობლოს გაუზარდა სასახელო შვილები.

ანდრო მაჭარაშვილის, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

მეგობრების ჯგუფი

გამოსათხოვარი

ლევან თურმანიძე



ლევან თურმანიძე გარდაიცვალა, უეცრად, პირზე ღიმილშერჩენილი, ჩვენი ძვირფასი ლევანი, ყველასთვის საყვარელი და დაუზარელი, ავსა და კარგში მეგობრის გვერდში მყოფი, მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ენამზე კაცი, გულთბილი და გამგები ადამიანი.

ყველგან, სადაც კი უმუშავია, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვაში,“ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა თუ ეკონომიკის სამინისტროში, – ნიჭიერ ენერგეტიკოსად, მრავალმხრივ განათლებულ, პრინციპულ და მაღალკვალიფიციურ ინჟინრად, სამართლიან და დიდსულოვან პიროვნებად იცნობდნენ.

ლევან თურმანიძე გარდაიცვალა, უერთგულესი მეუღლე, ორი ქალიშვილის საყვარელი მამა, სამი შვილიშვილის ბაბუა. მათ შორის ორის – საფრანგეთის მოქალაქისა, ერთის – სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტისა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ლევანი ტრადიციისამებრ ყველამ მოინახულა და მოისიყვარულა, სორბონელ პირველკურსელს კი – ამ დღეებში ელოდა თბილისში. ყველაზე უმცროსი ლევანიკო – ბაბუას სეხნია, რომელთანაც ყველაზე მეტ დროს ატარებდა, მეგობროობდნენ, ერთობოდნენ, ერთმანეთს საიდუმლოებებს უნახავდნენ როგორც მამაკაცები...

ლევან თურმანიძე გარდაიცვალა, დატოვა ჩვენი ცოდვილი წუთისოფელი, დატოვა მრავალი მოყვარე და ნათესავი, ახლობელი და შორეული, სკოლის, სტუდენტობისა და სამსახურის ნაცნობ-მეგობრები, დაგვტოვა ჩვენ ყველა და, რაც ასევე გულსატკენია, ვაკის პარკის მოჭადრაკეთა „საძმო.“

ლევან თურმანიძე გარდაიცვალა, წავიდა მოულოდნელად, როგორც მას უყვარდა სიკეთის კეთება, წავიდა სხვისი თხოვნის შესასრულებლად ერთ დაწესებულებაში მისული... საბედისწეროდ, წავიდა გულის გამო, ისევე როგორც მისი დედამამისშვილები...

არ დაგვავიწყდებით, ჩვენო ლევან, სანამ ვცოცხლობთ, მერე კი... მერე „ჩვენც წავალთ და სხვა დარჩება“...

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, დიდებულო კაცო და ადამიანო!

მეგობართა სახელით:
ბელა მაყაშვილი, ლია ლომიძე, ამირან გაბისონია, ვილენ მარდალეიშვილი, შალვა ზარანდია, გრიგოლ ბოკუჩავა, იური მეიშვილი, გურამ ღოღობერიძე, გიორგი ზიგზიგაძე, ოთარ კაკაურიძე, დემურ ჩომახიძე, პაატა ლასურაშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი

თეიმურაზ ჭანიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პროფ. ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გინეკოლოგიური კლინიკა იუწყება, რომ გარდაიცვალა

თინათინ ნიჟარაძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

მეულლე ლენა ხონელიძე, შვილები თამარი, ნინო, შვილიშვილები ნანა, ელენე, ლევანი, ძმა ნადიმი, სიძეები რევაზ ბოჭორიშვილი, დავით კუპატაძე, მძახლები გიორგი ბოჭორიშვილი, თამაზ კუპატაძე, რძლები შურია, ხუტი, ნაზი, ცოლისდები აზა, სონიკო, ნაზი, დისწულები, ძმისწულები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან დავითის ძე თურმანიძე

პანაშვიდი 24, 25 VIII 17 სთ. დაკრძალვა 26 VIII, 15 სთ. მის. ი. ნიკოლაძის 5 ა მე-2 სად. მე-9 სართ.

რაფიელ ჩიქოვანი, აკაკი ჩიქოვანი, გოდერძი ჯანელიძე, თენგიზ მხეიძე, გელა გოდერძიშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრისა და კოლეგის, ღირსეული მამულიშვილის, უსაყვარლესი პიროვნების

ლევან თურმანიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რაფიელ ჩიქოვანი, და ეკა მაჩაბელი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი პიროვნების და მეგობრის, კეთილშობილი და უპატიოსნესი ადამიანის

ლევან თურმანიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ბოლო გვერდი

● 25 აგვისტოს საქართველოს სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს წმიდა მამეგის ხსენების დღეს, წმინდანები – გერონტი, სერაპიონ, გერმანე, ბესარიონ, მიქაელ და სვიმონი ლეკეგმა წამეგით მოკლეს

◎ სულიერება

წმიდა გერონტი, სერაპიონ, გერმანე, ბესარიონ, მიქაელ, სვიმონ

...1851 წლის ზაფხულში გარეჯის უდაბნოს თავს დაესხნენ ლეკები, დაარბიეს დავითის ლავრა, გაიტაცეს საეკლესიო ნივთები, წიგნები, ტყვედ წაიყვანეს გერეგი, ხოლო მღვდელ მონაზონი გერონტი და მღვდელი სერაპიონი, გერეგი: გერმანე, ბესარიონი, მიქაელი და სვიმონი აწამეს.

აი, რას ამბობს პლატონ იოსელიანი მღვდელ-მონაზონ სერაპიონზე: ის იყო „კაცი მცოდნე ძველისა და ახლისა ფილოსოფიისა“.

თურმე დავით გარეჯის დღესასწაულზე მეფე გიორგი XIII ამალითურთ მოგრძანებულა უდაბნოში, ტრაპეზობისას მეფეს უნებებია „წარეკითხათ ეძვსთა დღისა რაიმე“. წინამძღვარს ამოურჩევია თვრამეტი წლის სვიმონი. მეფეს ძალიან მოწონებია მორჩილი – სვიმონი. ერთი კვირის თავზე სვიმონი ბერად აღუკვეცია და სერაპიონი დაურძმევია მისი წინამძღვრის საპატივცემლოდ.

დავით გარეჯში წამებული მამეგი საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა.

გიული ლიპარტია

25 აგვისტოს საქართველოს სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს წმიდა მამეგის ხსენების დღეს, წმინდანები – გერონტი, სერაპიონ, გერმანე, ბესარიონ, მიქაელ და სვიმონი ლეკეგმა წამეგით მოკლეს.

ცნობილია, რომ მეთვრამეტე საუკუნეში დავით გარეჯის უდაბნო ლეკთა მუდმივი შემოსევის და რბევის საგნად იქცა...

ლეკების თარეშს სხვადასხვა დროს შეეწირნენ: ღირსი შიო ახალი, დავითი, გაბრიელ, პავლე გარეჯელები, კოზმან ხუცეს-მონაზონი, გაბრიელ მცირე და სხვ.

◎ ანეკდოტები

– ქალიშვილო, დედაშენს სიძე არ სჭირდება?

– არა

– მამაშენს ჭიქის მიმჭახუნებელი?

* * *

საავადმყოფოში დაშავებული მამაკაცი მიიყვანეს ექიმი – თქვენი გვარი?

მამაკაცი – კგილცეცხლაშვილი...

ექიმი – ცოლიანი ხართ?

მამაკაცი – ეს მისი ბრალი არაა, მანქანა დამეჯახა.

* * *

ერთ-ერთ დაწესებულებაში კლიენტს ანკეტას უვსებენ.

– თქვენი ოჯახური მდგომარეობა?

– აუტანელი!

* * *

– რა დალონებული ხარ, რა დაგემართა?

– ცოლი მეზობელთან გაიქცა...

– ნუ დარდობ. გაერთობა, დაფიქრდება და ისევ დაგიბრუნდება.

– სწორედ ეგ მანალვლებს.

* * *

გარდაიცვალა უმდიდრესი გიქა. მემკვიდრეობის მოლოდინში ყოველი მხრიდან შეიკრიბნენ ნათესავები. ელოდებიან ანდერძის გამოქვეყნებას.

ნოტარიუსი ხსნის დალუქულ კონვერტს და კითხულობს:

– მე, ესა და ეს, ვარ რა სრულ ჭკუაზე და კარგი მეხსიერებით, ვაცხადებ, რომ მთელი ფული... შემომეხარჯა.

* * *

გამოცდების დაწყების წინ გამომცდელი აცხადებს:

– ნუ აღელდებით, დადებით ნიშანს ყველა მიიღებთ...

– დადებითი ნიშანი რომელია?

– ნულზე მეტი!

* * *

ბიჭი ბავშვთა სპორტული ბანაკიდან იწერება:

„ძვირფასო მშობლებო!, კარგად ვარ. გუშინ შევჯიბრება გვქონდა კრივში. კგილის ჯაგრისს, პასტას და სხვა ზედმეტ ნივთებს უკან გიგზავნით“.

* * *

ინსპექტორი აჩერებს მანქანას:

– თქვენი მართვის მოწმობა.

– ინებეთ.

– ფოტოს ურათი რალაც წესრიგში არა გაქვთ.

– როგორ არა, ეს ხომ მე ვარ, მარცხნიდან მესამე.

ოჯახი

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 32-85-76; 98-65-87

ხსოვნა

ომარ ელოშვილი

ქართულმა საზოგადოებამ უდროოდ დაკარგა გულანთებული და ერთგული მამულიშვილი ომარ ილიას ძე ელოშვილი.

ომარ ილიას ძე ელოშვილი დაიბადა 1946 წელს. 1953-1961 წლებში სწავლობდა დაბა ყაზბეგის საშუალო სკოლაში. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის 113-ე სკოლაში, რომელიც 1966 წ. დაამთავრა ოქროს მედლით. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობაზე..

მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე: იყო საქართველოს კპ დმანისის რაიკომის პირველი მდივანი; სახელმწიფო საბჭოს რეგიონალური მმართველობის განყოფილების გამგე; მთავარი სახელმწიფო მრჩეველი; სახელმწიფოს მეთაურის საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენელი ცხინვალის რეგიონში; საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შიდა ქართლში; რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობამდე კარგა ხნით ადრე მან შეძლო, დმანისში, ძველო ქართლის ამ სასაზღვრო რეგიონში დაკარგული ეროვნული თვითშეგნების და ქართული სულის აღორძინება; ომარ ელოშვილის ძალისხმევით სულ რაღაც ოთხ-ხუთ წელიწადში სრულიად შეიცვალა რაიონის დემოგრაფიული სურათი. აშენდა პირველი ქართული საბავშვო ბალი, პირველი ქართული სკოლა, დაარსდა ქართული თეატრი, აშენდა 400-მდე კეთილმოწყობილი სახლი სვანეთიდან გადმოსახლებული ქართველებისათვის. მოხდა საბჭოთა იმპერიის პერიოდისათვის გაუგონარი და უპრეცედენტო შემთხვევა, დმანისში დამკვიდრებული საძმის რუსულენოვანი წარმოება ქართულ ენაზე საძმის წარმოებით შეიცვალა. მრავალი სახლი ნებაყოფლობით იქნა შესყიდული აზერბაიჯანელებისაგან და უსასყიდლოდ გადაეცათ გაჭირვებულ ქართულ ოჯახებს.

ცხინვალის რეგიონში ომარ ელოშვილის მოღვაწეობა ურთულეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ პერიოდს დაემთხვა. მას იქ დახვდა ეთნოკონფლიქტი, ნგრევა და არეულობა და, მიუხედავად ყველაფრისა, ომარ ელოშვილმა ამ პირობებშიც შეძლო ცხინვალის ქართულ სოფლებში აღედგინა ომით დანგრეული მრავალი შენობა-ნაგებობანი, აეგო უნივერმაღი, შეეკეთებინა რვა სოფლისათვის სავაჭრო ცენტრი; ერთ-ერთ ქართულ სოფელს, დმენისს შვიდი კილომეტრიდან მიეწოდა წყალი, რასაც ამ სოფლის მოსახლეობა მშვიდობიანობისა და შედარებითი კეთილდღეობის დროსაც კი ვერ ელირსა.

ადგილობრივი ქართული მოსახლეობის გაუგონარ სიმამაცესა და ვაჟკაცობასთან ერთად, ომარ ელოშვილის წვლილიც დიდია იმაში, რომ ქართული სოფლები არ დაცლილა, მოსახლეობა არ აყრილა სამკვიდრებლიდან და ლტოლვილად არ ძცეულა თავის საკუთარ სამშობლოში. უფრო მეტიც; ომარ ელოშვილმა ცხინვალის რეგიონში პირადად ჩამოაყალიბა ორი ახალი რაიონი, რომლებიც მოსწყვიტა ოსეთის თვითმართვა ადმინისტრაციის დაძველებულებარებას და საქართველოს იურისდიქციას დაუმორჩილა. იმ დღიდან ქურთისა და ერედვის გამგებლები საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ინიშნებიან. სოფელ თამარაშენში, ქართული კულტურის სიძლიერისა და მარადიულობის სიმბოლოდ, აღადგინა დიდი ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი.

და, რაც ყველაზე მთავარია, ომარ ელოშვილის დიდი დამსახურებაა, რომ მოხერხდა ცხინვალში არ გახსნილიყო მეორე ფრონტი აფხაზეთის პარალელურად და ძველსნა ამ უდიდეს საფრთხეს გადარჩენოდა. საძმეს, რომელსაც ომარი ეკიდებოდა, ყოველთვის აჩნდა ის გულისხმიერება, კომპეტენტურობა და, რაც მთავარია, ეროვნული პასუხისმგებლობა და სიყვარული, რითაც იგი განსაკუთრებით გამოირჩეოდა.

ომარის ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და მეგობრებს არასოდეს დაავიწყდებათ ის სიკეთე, ის სითბო, რომელსაც იგი უშურველად გასცემდა, არასოდეს დაავიწყდებათ მისი ალალი გული და ვაჟკაცური მხარში ამოდგომა ჭირსა და ლხინში. ომარი ელოშვილის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ომარ ელოშვილის ოჯახი,
ნათესავები, მეგობრები.

დედა ლიანა ჩქარეული, მეუღლე მზია შეწირული, შვილები ნინო, გორენა, ილია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ომარ ილიას ძე ელოშვილი

პანაშვიდი 26, 27 VIII, 15 სთ. მისამართი: საგურთალოს ქ. № 35, ბინა №63, დაკრძალვა ყაზბეგის რაიონი, სოფელი ფხელშე. 30 VIII, 15 სთ.

◎ კადრი

თეიდო ნიკოლაიშვილის ფოტო

გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუშში“.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 12. ტ: 98-65-87.

შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679;

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №12.
მთავარი რედაქტორი: 899 56-81-86
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
899 53-76-16; 899 36-00-35.
სარეკლამო განყოფილება: 98-65-87. 899 32-85-76

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.